# აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№44 (25.172) 15 ნოემბერი, 2024 წ. 50 თეთრი


### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, მთიან რაიონებში - 10-15, მაღალ მთაში - 2-7 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 17 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი. ხვალ მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მაღალ მთაში - თოვა, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

# თორნიკე რიჟვაძე CPMR-ის ვიცე-პრეზიდენტად მესამე ვადით აირჩიეს

***აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ ევროპის საზღვაო რეგიონების ასოციაციის (CPMR) პოლიტიკური ბიუროს ონლაინ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ რეგიონის პირველი პირი ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად მესამე ვადით აირჩიეს.***

2020 წლის ივნისიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა CPMR-ის და ამავე ორგანიზაციის შავი ზღვისა და ბალკანეთის კომისიის (BBSC) სრულუფლებიანი წევრია.

საზღვაო რეგიონების კავშირი 150 რეგიონს აერთიანებს. ასოციაცია ფოკუსირებულია სოციალურ, ეკონომიკურ საკითხებზე, საზღვაო პოლიტიკასა და ლურჯი ეკონომიკის განვითარებაზე. CPMR-ის წარმომადგენლობა მოიცავს დაახლოებით 200 მილიონ ადამიანს.

# შეხვედრა ახლად დანიშნულ ელჩთან

***აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ახლად დანიშნულ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში გარეთ უორდს შეხვდა***

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა ბრიტანეთთან არსებული საქმიანი ურთიერთობების გაღრმავების მნიშვნელობას როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე, რაც მოიცავს ტურიზმის, განათლების და სხვა სტრატეგიულ სფეროებს.

შეხვედრას დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს პოლიტიკური ოფიცერი სოფო ჩაგელიშვილი ესწრებოდა.

## ამერიკა-რუსეთის ალიანსი - საქართველოს წინააღმდეგ

«...ეს არც ამერიკას უნდა და არც რუსეთს, რადგან ტრილიონიანი ტვირთები გავა საქართველოზე»

3

## «შემოდგომა ქედაში» - სიყვარულისა და მეგობრობის დღესასწაული

5

## «ჩვენ ამ ქვეყანაში უნდა შევქმნათ სამართლიანი თამაშის წესები»

7



ISSN 2720-8702

9 772720 870003


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# რა გამოხმაურება მოჰყვა ევროპელი ლიდერების ვიზიტს საქართველოში?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

***ევროკავშირის 8 ქვეყნის პარლამენტების კომიტეტების თავმჯდომარეები საქართველოში იმყოფებოდნენ. ფინეთის, შვედეთის, საფრანგეთის, ლიეტუვის, ლატვიის, ესტონეთის, პოლონეთისა და გერმანიის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების თავმჯდომარეების განცხადებებით, მათი საქართველოში ჩამოსვლის მთავარი მიზანი ქართველი ხალხის ევროპული არჩევანის მხარდაჭერა და ცვლილებებისთვის ბიძგის მიცემა იყო. მათ მიერ გაჟღერებული მოთხოვნები ოპოზიციის წარმომადგენლებისა და მხარდამჭერების სურვილებს ემთხვეოდა. მოთხოვნებს შორის იყო არჩევნების სამართლიანად ჩატარების საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოძიება და მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებაც***

ვიზიტის პირველ დღეს ისინი საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს შეხვდნენ და ისაუბრეს საქართველოში ჩატარებულ არჩევნებზე. პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ პოლონეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა და ევროკავშირის საქმეთა კომიტეტის წევრმა მიჰაუ კამინსკიმ აღნიშნა, რომ საქართველო რუსული საფრთხის ქვეშაა.

„როდესაც მმართველი პარტია დღეს გვისვამს კითხვას, რა გაძლევთ უფლებას, რომ აქ იმყოფებოდეთო, გიპასუხებთ - მე აქ ვიყავი პრეზიდენტ კაჩინსკისთან ერთად, როცა თბილისი იყო საფრთხეში. ეს ვიზიტი მე დავაორგანიზე, როგორც სახელმწიფო მდივანმა. ჩვენ აქ ჩამოვედით, როცა თბილისი რუსული შემოტევის პირდაპირი საფრთხისა და წნეხის ქვეშ იყო. ამ ქალაქში ვიდექი, როცა ეს ქალაქი იყო რუსული საფრთხის წინაშე. ვიმყოფები ახლა იმიტომ, რომ თბილისი ისევ რუსული საფრთხის წინაშეა“, - აღნიშნა მედიასთან საუბარში კამინსკიმ. პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ 8 ქვეყნის წარმომადგენლები ქართულ ოპოზიციას შეხვდნენ. ოპოზიციონერი პოლიტიკოსების თქმით, მათ პარტნიორებთან ისაუბრეს იმაზე, რომ 26 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნები დარღვევით ჩატარდა და ხაზი გაუსვეს საერთაშორისო გამოძიების ჩატარების აუცილებლობას. ევროპელი ლიდერები შეხვდნენ და არჩევნებთან დაკავშირებით ისაუბრეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და საარჩევნო პროცესებში ჩართულ დამკვირვებლებთან, დღის ბოლოს კი რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციას შეუერთდნენ, სადაც ოპოზიცია ვადამდელი არჩევნების ჩატარებას ითხოვდა.

თუ გავიხსენებთ ახლო წარსულს, ჩვენ ევროპელი ლიდერების ნაწილის აქციაზე გამოსვლა უკვე ვიხილეთ ხუთი თვის წინ, როდესაც უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის განხილვის პარალელურად რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. ევროპელმა ლიდერებმა მაშინ დემონსტრანტებს სიტყვით მიმართეს და მხარდაჭერა გამოუცხადეს. რაც შეეხება მმართველი გუნდის პოზიციას, მთავრობის წარმომადგენლები ევროპელ პოლიტიკოსებს არ შეხვდნენ და ამის მიზეზიც განმარტეს.

პრემიერ ირაკლი კობახიძის თქმით, ამ ვიზიტის სულისკვეთება არ ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

„ჩვენ თავი შევიკავეთ ამ ადამიანებთან შეხვედრისგან ერთი მარტივი მიზეზის გამო, ამ დელეგაციის წევრთა ნაწილი იყო პირდაპირ ჩართული საარჩევნო აგიტაციაში და თავად არღვევდა უხეშად საარჩევნო პრინციპებს. როდესაც ის ადამიანები გვესაუბრებიან არჩევნების ლეგიტიმაციაზე, რომლებიც თავად არღვევდნენ საარჩევნო პრინციპებს, თავად ხედავთ რაშიც არის საქმე. ამ დელეგაციაში არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც თავად არ არღვევდნენ საარჩევნო პრინციპებს, არ იყვნენ ჩართული საარჩევნო აგიტაციაში, თუმცა, ყველა შემთხვევაში, ამ ვიზიტის სულისკვეთება, სამწუხაროდ, არ ემსახურება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ჩვენთან საუბარში ბათუმის საკრებულოს წევრი „ხალხის ძალიდან“ **ნინო ცხვარაძე** ევროპელი ლიდერების განცხადებებს ეხმაურება და აღნიშნავს, რომ ყველამ უნდა სცეს პატივი ქართველი ხალხის უმრავლესობის არჩევანს.

- ქართული ოპოზიცია და ევროპელი „მეგობრები“ ერთ ხმაში, შეთანხმებულად ესაუბრებიან ქართველი ხალხის იმ უმრავლესობას, რომელმაც „ქართულ ოცნებას“ არჩევნების გზით, კვლავ ჩააბარა ხელისუფლება. ევროპელების საქართველოში ჩამოსვლა წინააღმდეგობაშია იმ პრინციპებთან, რასაც დემოკრატია ეწოდება. ცალსახად ცხადია, რომ ჩვენს საშინაო პოლიტიკაში უხეშად ერევიან და მცირე ჯგუფებს ძალადობისკენ მოუწოდებენ. 26 ოქტომბერს ვნახეთ, რომ ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ უარი უთხრა რადიკალებს. უმრავლესობისთვის რომ მიუღებელია ლგბტ პროპაგანდა და გამჭვირვალობას აყენებენ წინა პლანზე, ამას გვიწუნებენ? დამნაშავე საკაშვილი რომ სასჯელს იხდის და მის გათავისუფლებას აიძულებენ ხელისუფლებას, არც ესაა სამართლიანი. ყველამ, მათ შორის, უცხოელმა პარტნიორებმა და მეგობრებმა კეთილი უნდა ინებონ და ქართველი ხალხის უმრავლესობის არჩევანს პატივი სცენ. ამ ქვეყანაში ვერც მაიდანს მოაწყობენ და ვერც რევოლუციას! მობეზრდა საზოგადოებას ეს უნიჭო სპექტაკლები და კინო, რომელიც არაერთხელ გვაქვს ნანახი, აღარაა საინტერესო, - გვითხრა ნინო ცხვარაძემ.

ევროპელი პოლიტიკოსების ვიზიტს აფასებენ პარტიაში „ლელო საქართველოსთვის“ - აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი **ვაჟა დარჩია** ჩვენთან საუბარში ევროპელი პარტნიორების ვიზიტის მნიშვნელობაზე საუბრობს.

- ჩვენი პარტნიორების ვიზიტი ასეთ კრიზისულ მომენტში ძალიან მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით ის, რომ მათ გადაწყვიტეს შეხვედრა ერთადერთ მოქმედ ევროპულ ინსტიტუტთან პრეზიდენტის სახით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო მათი ხალხთან ერთად დგომა აქციაზე, ეს არის პოზიცია, რომელიც ნიშნავს, რომ ისინი არიან ხალხის მხარეს. რაც შეეხება ჩვენს ხელისუფლებას, მათი პასუხი ნათელია, ისინი ჩვენს პარტნიორებს უწოდებენ უსაქმურებს, არ შეხვდნენ არცერთ მათგანს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ არჩევნები გაყალბდა და ამ საკითხზე „ქართული ოცნება“ პარტნიორებთან არ აპირებს საუბარს“, - გვითხრა ვაჟა დარჩიამ.

როგორც პოლიტიკურ გაერთიანებაში „ერთიანობა - ნაციონალურ მოძრაობა“ ამბობენ, პოლიტიკური ლიდერების აქ ჩამოსვლის მიზანი მმართველი პარტიისთვის კიდევ ერთხელ იმის შეხსენებაა, რომ საქართველო სწორი მიმართულებით არ მიდის.

- პრაქტიკულად, ქვეყანა ჩიხშია შესული. ერთი მხრივ, გვაქვს მოცემულობა, რომ ხელისუფლება ჯიუტად ამბობს - 26 ოქტომბრის არჩევნები ლეგიტიმურია და მეორე მხრივ, ცივილიზებული სამყარო და დასავლელი პარტნიორები ამ არჩევნების აღიარებისგან თავს იკავებენ. ევროპის წამყვანი ქვეყნების საგარეო კომიტეტების თავმჯდომარეები საქართველოში იმყოფებოდნენ თავიანთი ქვეყნების პოზიციების გასახმოვანებლად. ეს არ ყოფილა პირადი ვიზიტი ან ტურისტული ადგილების დათვალიერების მიზნით ჩამოსვლა. მათი მთავარი სათქმელი ხელისუფლებისთვის იყო ის, რომ ქვეყანა არ მიდის სწორი მიმართულებით და ხელისუფლება სწორ ნაბიჯებს არ დგამს. 18 ნოემბერს დაგეგმილია საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა და საქართველოს საკითხი არის ნომერ პირველი განსახილველი თემა. ეს ყველაფერი ნათლად მიუთითებს, რომ რეალურად, ჩვენი ქვეყანა ექცევა იზოლაციაში. სამწუხაროა, მაგრამ თითოეულმა მოქალაქემ, რომელიც თქვენს გაზეთს წაიკითხავს, უნდა იცოდეს, რომ მოსახლეობის მთავარი მოთხოვნა - ევროპაში ინტეგრაცია - არის საფრთხის წინაშე ბიძინა ივანიშვილის და ამ ხელისუფლების დამსახურებით. დღეს საჭიროა საზოგადოების სრული მობილიზება ჩვენი ევროპული მომავლის დასაცავად, - გვითხრა **რეზო ხარაზმა**.

## ქრონიკა

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, ხელვაჩაურის მერმა ზაზა დიასამიძემ, სამინისტროს, ხელვაჩაურის რესურსცენტრისა და ხელვაჩაურის თვითმმართველობის სხვა ხელმძღვანელმა პირებმა სოფელ ერგეს საჯარო სკოლა მოინახულეს. ადგილზე შეხვდნენ სკოლის დირექციის წევრებსა და მასწავლებლებს, გააცნეს პროექტი და მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია ერგეს სკოლის რეაბილიტაციის დაწყებასთან დაკავშირებით.სკოლის რეაბილიტაციის პროცესში შეიცვლება სახურავი, ფასადი სრულად შეიფუთება ფილებით. განხორციელდება შენობის მთლიანი გარე და შიდასარეაბილიტაციო სამუშაოები, შეიცვლება კარ-ფანჯრები, კომუნიკაციები, კეთილმოწყობა ტერიტორია და მოეწყობა სახანძრო სიგნალიზაცია. სამუშაოების ჯამური ღირებულება 3 200 000 ლარია. სკოლის სარეაბილიტაციო პროცესის განმავლობაში მოსწავლეები სწავლას გააგრძელებენ ალტერნატიულ მისამართზე, მათ ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს სამინისტრო.

* * *

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, სიჩუანის პროვინციაში, მეგობრული ქალაქების თანამშრომლობის და განვითარების კონფერენცია გაიხსნა. სავაჭრო-საინვესტიციო და ლოგისტიკის პანელის შეხვედრაზე ქვეყნებს და რეგიონებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება განიხილეს. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ დელეგატებს რეგიონის საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობები გააცნო. ოფიციალური შეხვედრების ფარგლებში, მინისტრმა სხვადასხვა რეგიონთან ერთობლივი პროექტების განხორციელების პერსპექტივებზე ისაუბრა. აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ სპეციალური პრეზენტაცია გაიმართა. კონფერენციაზე სხვადასხვა ქვეყნის თემატური გამოფენები მიმდინარეობს.

* * *

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, გაერთიანებული სამეფოს ელჩთან საქართველოში გარეტ უორდთან ერთად, პატივი მიაგო საქართველოში დაღუპული ბრიტანელი ჯარისკაცების ხსოვნას, რომლებიც ფერიის სასაფლაოზე არიან დაკრძალულები. 69 ბრიტანელი ჯარისკაცის საფლავი ბათუმში 2013 წელს, გათხრების შედეგად აღმოაჩინეს. ისინი ბათუმში 1918-1920 წლებში იმყოფებოდნენ. ბრიტანელი ჯარისკაცების ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება ნოემბრის პირველ კვირაში, ინგლისსა და მის საზღვრებს გარეთ ყოველწლიურად იმართება.

* * *

ბათუმის მერიასა და აფხაზეთის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მიზანია ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, აფხაზეთიდან დევნილ პირთა ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა შესაბამისი პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების მხარდაჭერის გზით. გათვალისწინებულია ერთობლივ ღონისძიებებში მონაწილეობა სამინისტროსა და მერიის პროგრამების თაობაზე დევნილთა ცნობადობის ამაღლების მიზნით. მემორანდუმს ხელი ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა და აფხაზეთის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლაშა ქარდავამ მოაწერეს. ღონისძიებას ბათუმის მერის მოადგილე ლელა სურმანიძე და მინისტრის მრჩეველი მეგი ჯაში ესწრებოდნენ.

* * *

„სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამით, რომელსაც აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2024 წლის პროგრამების ფარგლებში ახორციელებს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების, ყურძნის საწურის, შესაწამლი აპარატის, სათიბელას და ჯაჭვური ხერხის თანადაფინანსება მიმდინარეობს. აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე არჩილ ბერიძე, მოადგილე ლევან დავითაძე და პროგრამების განხორციელების დეპარტამენტის თანამშრომლები ფერმერებისთვის ტექნიკის გადაცემის პროცესს დაესწრნენ. პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების მცირეფასიანი სამეურნეო საქონლით უზრუნველყოფის ხელშეწყობა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გზით. აღსანიშნავია, რომ ინვენტარის შესყიდვა-დაფინანსება რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფერმერებზეა გათვალისწინებული. პროგრამის ფარგლებში 500-ზე მეტი ფერმერი დაფინანსდება, ღონისძიების ბიუჯეტი კი 200 000 ლარს შეადგენს.

* * *

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ინფორმაციით, გონიოს ციხის ტერიტორიაზე განახლდა საგანმანათლებლო პროექტი „გაეცანი, შექმენი და აირჩიე სამომავლო პროფესია“, რომლის ფარგლებშიც დღეს, კავკასიის ბიზნესსკოლის მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის ჩატარდა (პედაგოგები - ლელა ხილაძე, თენგო კახიძე) შემეცნებითი გაკვეთილი „ძველი რომის იმპერიის ისტორიისა და რომაელების ყოფა-ცხოვრების შესახებ“. მათი ინფორმაციით, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს შემეცნებით აქტივობაში და გაეცნენ გონიოს ციხის ისტორიას. გაკვეთილს აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მეცნიერთანამშრომელი თორნიკე მამისეიშვილი უძღვებოდა.

* * *

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენწმანში კარტოფილის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმო შპს „კაიფრი“ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გახსნა. საწარმო დიდ დახმარებას გაუწევს ადგილობრივ ფერმერებსა და აგრომეწარმეებს ადგილზე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაში. ახალი საწარმო სეზონზე მიიღებს 1000 ტონამდე კარტოფილს, რომლისგანაც დამზადდება გაყინული კარტოფილის ფრი და მიეწოდება როგორც ადგილობრივ ბაზრებს, ასევე, სუპერმარკეტების ქსელს. საწარმოში, რომლის დაფინანსება (200 000 ლარი) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის განვითარების სააგენტოსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „სენის“ (114 000 ლარით) ერთობლივი პროექტით განხორციელდა, 20-მდე ადგილობრივი მკვიდრი დასაქმდება.

# ამერიკა-რუსეთის ალიანსი - საქართველოს წინააღმდეგ

## „...ეს არც ამერიკას უნდა და არც რუსეთს, რადგან ტრილიონიანი ტვირთები გავა საქართველოზე“

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

*გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტოლოგ* ***რამაზ საყვარელიძესთან,*** *რომელმაც საკმაოდ გაბედული, არაორდინარული და საინტერესო ვერსიები წარმოადგინა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, ტრამპის გაპრეზიდენტებასა და საქართველოს როლზე მსოფლიო გადანაწილების პროცესში.*



**- ბატონო რამაზ, აშშ-ის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკური დაბრუნების მოწმეები გავხდით - დონალდ ტრამპის კვლავ გაპრეზიდენტებამ საგონებელში ჩააგდო მსოფლიო. რამდენად რეალურია მისი განცხადება ომების დასრულების შესახებ?**

- ომების თაობაზე ტრამპის განცხადება რამდენად რეალურია, არ ვიცი, მაგრამ ძალიან რომ ეცდება, ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან აქამდე სატრაბახო ჰქონდა, რომ მისი მმართველობის პერიოდში ომი არ მომხდარა, ასე რომ, მისთვის მშვიდობა სამარკო ნიშანია. რაც შეეხება მეორედ გაპრეზიდენტებას, პირველისგან ძალიან განსხვავებულია იმ მხრივ, რომ პირველი გაპრეზიდენტება ტრამპის მოწინააღმდეგეებს შემთხვევითობად მიაჩნდათ. უკვირდათ, როგორ შეიძლებოდა, ასეთი ოდიოზური, ნახევრად კომიკური ფიგურა აღექვათ ხალხის სერიოზულ არჩევნად. აქედან გამომდინარე, არც მისი პირველი პრეზიდენტობის პერიოდი მიაჩნდათ მნიშვნელოვნად როგორც ამერიკელებს, ისე ევროპელებს. არადა, ჯერ კიდევ მაშინ ევროპის მიმართ სიმკაცრე ტრამპს დაწყებული ჰქონდა. მეორედ არჩევა უკვე ნიშნავს, რომ ტრამპი არ იყო შემთხვევითი მოვლენა და ეს ამერიკელთა სიმპათიის კანონზომიერების გამოხატულებაა. მან ჰარისს ყველაფერში მოუგო, რამაც ძალიან დააფიქრა ევროპის პოლიტიკური წრეები და ეს რეაქციებზეც ეტყობათ. მოლოდინი გაჩნდა, რომ აქ რაღაც სერიოზული მოხდება. იგივე ეტყობა თავად ტრამპსაც. თუ დავაკვირდებით გამარჯვების შემდეგ მის გამოსვლას, შევამჩნევთ მიმიკის ცვლილებას, უცნაური გრიმასების მოხსნას. ერთი მომენტი იყო, როდესაც ცეკვის ილეთები გააკეთა და ამას ხალხის მხიარული რეაქცია მოჰყვა, პრეზიდენტმა შეწყვეტის ნიშნად ხელი გააქნია, თითქოს ეუბნებოდა, მსგავსს ვერაფერს იხილავთ ამიერიდანო, ანუ სხეულის ენით ასეთი განაცხადი იკითხებოდა.

**- გამოდის, თავად ტრამპიც დასერიოზულდა?**

- კი, ასე გამოდის, თავად ტრამპმაც მეორედ გაპრეზიდენტება უფრო სერიოზულ მოვლენად აღიქვა, ვიდრე ადრე მიაჩნდა. აქედან გამომდინარე, მიჭირს პროგნოზირება, მით უფრო, რომ მის გვერდით დგას ამერიკის ორმოცდამეათე ვიცე-პრეზიდენტი. სენატორი ჯეი დი ვენსი სრულიად ახალი და ყველაზე პერსპექტიული ფიგურაა აშშ-ის ისტორიაში. მას ახასიათებენ როგორც ძალიან ჭკვიან, მკვეთრ, რადიკალურ პიროვნებას. ანეკდოტად დადიოდა, ტრამპს აღარ მოკლავენ, რადგან მასზე უარესი დარჩება პრეზიდენტადო. ასე რომ, სუპერტრამპი დაიყენა გვერდით, რაც ასევე, საინტერესო ფაქტია. როგორც წესი, ვიცე-პრეზიდენტად არ ირჩევენ მსგავსი გაქანების პიროვნებას. ტრამპმა ისეთი ფიგურა აირჩია, რომელსაც ხელაღებით ვერ მოეკიდებიან და იოლად ვერ გადააყოლებენ ვიცეპრეზიდენტობის უფუნქციო როლს. ნამდვილად ახალი ტიპის პროცესები იწყება, რომლის შინაარსის წინასწარმეტყველება რთულია. ერთის თქმა შემიძლია: ეს არ იქნება ტრამპის მეფობის ძველი ეტაპის ანალოგი. ვნახოთ...

**- ტრამპის განცხადებებმა ლტოლვილთა ტალღის შეჩერების შესახებ შეაშინა იქ მყოფი ქართველები. იმასაც ამბობდნენ, ჩვენს ემიგრანტებს დაადეპორტებსო...**

- სიტყვა „ემიგრანტების“ გამოყენება ამ ქვეყნის მიმართებაში ღიმილის მომგვრელია, ამიტომაც ახალი ტერმინები შემოაქვთ თავად ამერიკელებს: „ძირძველი ამერიკელები“, ახლები და სხვა. მათ გაყრაში გულისხმობენ იმ პირების ნაკადისგან გამოთავისუფლებას, რომელიც მექსიკიდან არალეგალურად შემოდინება და დისკომფორტს უქმნის ამერიკას. საქართველოსთან ანალოგი რომ გავავლოთ, ჩვენც რუს და უკრაინელ ემიგრანტთა ტალღა მოგვადგა, რამაც უმწვავესი რექცია გამოიწვია.

**- მწვავე რეაქცია ისევ დარჩა საზოგადოებაში.**

- კი, ნამდვილად ასეა, მაგრამ ხომ არ იხსენებენ თავის დროზე სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოსულ ემიგრანტებს, ასევე ლტოლვილები რომ არიან? მოსახლეობას აღიზიანებს ახალ-ახალი ნაკადები. იგივე ხდება ამერიკაშიც და, ისტორიულ ფაქტებს თუ გავიხსენებთ, მალე დამშვიდდებიან.

**- ზელენსკის ტრამპთან დამოკიდებულებაში შიში იგრძნობა.**

- ზელენსკი საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან ომის გაგრძელება, მეტ-ნაკლებად, მის ინტერესებში შედის. უკრაინის ნგრევა და მოსახლეობის განახევრება არა მხოლოდ პუტინის, ზელენსკის კისერზეცაა.

**- ბევრი თვლიდა, რომ ზელენსკის, ომის დაწყების გარდა, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა...**

- ...მაგრამ შეეძლო სხვა სტრატეგია შეემუშავებინა. მაგალითად, როდესაც ფაშისტური გერმანია შეიჭრა საფრანგეთში, ფრანგული არმია ქვეყნიდან გავიდა და დე გოლმა კაპიტულაცია გამოაცხადა... თუმცა უმკაცრეს პარტიზანულ ომებს აწარმოებდნენ იტაკქვეშეთიდან, რაც გაცილებით ეფექტური აღმოჩნდა თავად ქვეყნისთვის. საფრანგეთი დღემდე ცხოვრობს ტურიზმით, რომელიც მაშინ დანგრევას გადარჩენილი ძეგლების წყალობითაა მომგებიანი. ასე რომ, ასეთი ფრონტალური ომი არ არის ერთადერთი გზა, თუკი ქვეყნის და მოსახლეობის გადარჩენა გსურს. მე ერთი ფაქტი გავიხსენე, უფრო მეტს გაიხსენებენ თავად უკრაინელები, რომელთა ოჯახები მსხვერპლად შეეწირა ზელენსკის ამ „ვაუკაცურ“ იდეას. ცხადია, კონკრეტულად იდეა ემოციურად გამართლებულია. ქართველებს რა გვეთქმის - ამდენი საუკუნეა, ასეთ ბრძოლებში ვართ, მაგრამ საქართველოს ერთი პრიორიტეტი აღმოაჩნდა, იბრძოდა აუცილებლობის შემთხვევაში, მაგრამ თუ ვერ ახერხებდა, აცხადებდა: „დათვი თუ მოგერია, ბაბაია დაუძახეო“. ქართველი მეფეები განადგურებამდე ბრძოლას არ ამართლებდნენ და ერის გადარჩენას ისახავდნენ მიზნად. ამიტომაც მოვატანეთ აქამდე... ზელენსკიმ კი უნიკალური ომი არჩია, სადაც ქვეყანა სხვისი იარაღით იბრძვის. ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ომს იწყებს, საკუთარი მილიტარისტული რესურსის იმედადაა, უკრაინამ კი ეს წესი უგულებელყო, დაუფიქრებლად, გარე ძალების დაპირებების ამარა ჩაერთო ამ სისხლისმღვრელ კონფლიქტში და უზარმაზარი მატერიალური და ადამიანური რესურსი გასწირა.

**- არც პუტინს აძლევს ხელს ომის დასრულება.**

- ცხადია, მაგრამ თუ დაასრულა, ჰუმანურ პირობებს არ შესთავაზებს უკრაინას, წაგლეჯს ყველაფერს, რაზედაც ხელი მიუწვდება. ტერიტორიებს წაიღებს, ნატოს თემას საერთოდ მოხსნის და ზღვაზე გასასვლელ დერეფნებს დაიტოვებს. ამ მოლაპარაკებებზე პუტინი ზელენსკისთვის კომფორტული პარტნიორი არ იქნება.

**- თუკი ომი დასრულდება, რუსეთს დაკისრებულ სანქციებს მოუხსნიან?**

- ტრამპის გაპრეზიდენტების ფონზე როგორ მოიქცევა დასავლეთი, უკვე ძნელი სათქმელია. ის უაზრო ნაბიჯები, რაც აქამდე გადაიდგა, უფრო ლიბერალური წრეებისთვის იყო დამახასიათებელი. არც აშშ-ს აძლევდა ხელს ომის დასრულება. იგი ცდილობდა, რუსეთს არ გაემარჯვა, მაგრამ არც დამარცხებულიყო.

**- ეს როგორ გავიგოთ?**

- ბაიდენმა საკმაოდ გვიან - უკვე ომის დაწყების შემდეგ აღმოაჩინა, რომ მსოფლიოს არანაირად არ აძლევდა ხელს რუსეთის დაშლა, რადგან ჩინეთი აგერ - ევროპამდე მოვა. შე მამაცხონებულო, სანამ ომს დაიწყებდი, ვერ დახედე რუკას?! თან აქ ხომ მხოლოდ ამერიკა არ იყო ჩართული? - გერმანია, საფრანგეთი და სხვა... ამხელა ქვეყნებმა გადადგეს ასეთი დაუფიქრებელი ნაბიჯები. ახლა არ იციან, რა ქნან, როგორ მოახერხონ, რომ რუსეთმა არც გაიმარჯვოს, მაგრამ არც დამარცხდეს. იმედია, ტრამპი გამოძებნის გზას.

**- რუსეთი გაცილებით ძლიერი გახდა, ვიდრე ომის დაწყებამდე იყო, სანქციებმა საპირისპირო ეფექტი გამოიღო.**

- დიახ, ასეა, არადა, „ესენი“ ამას არც აგარიშობდნენ, ახლა იმას ცდილობენ, რუსეთი არ დაიშალოს. საქართველოს მთავრობას დღემდე მაგიდაზე მჯიღს ურტყამენ, სანქციები დააწესეო, არადა, თავად ახლაც რუსეთიდან ყიდულობენ უკვე გაძვირებულ, მესამე ქვეყნების გავლით მიღებულ ენერგომატარებლებს. აბა, რითი გაზარდა რუსეთმა შემოსავლები?

**- რაც შეეხება ისრაელ-ირანის კონფლიქტს?**

- ვარაუდობენ, რომ აშშ ჩაერთვება ირანთან დაპირისპირებაში, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ეს ომახიანი შეძახილები უფროა. ორივე მხარე ერთმანეთს ემუქრება, რაკეტებსაც უშვებენ ისე, რომ მინიმალური მსხვერპლი ჰქონდეთ. საკუთარ ხალხს „ვაუკაცურ“ ანგარიშებს აბარებენ, მაგრამ, რეალურად, ცდილობენ, არ გააღიზიანონ აშშ. როგორც იქნა, გალღვა დაწესებული სანქციების ყინული, ირანს გამოუჩნდა დასავლეთის ბაზარზე გასვლის პერსპექტივა, რაზეც აქამდე ვერც ოიცნებებდა, რადგან ემბარგოთი ჩაკეტეს. ირანს ეკონომიკის გასაძლიერებლად არა ომი, თავისუფალი ვაჭრობა სჭირდება და ხელს არ უნდა აძლევდეს შეიარაღებული კონფლიქტი ისრაელთან, რომელიც, ფაქტობრივად, აშშ-ის წარმომადგენელია. ამ შერბილებას ისიც ადასტურებს, რომ პრეზიდენტად აირჩიეს დასავლეთის მიმართ ლოიალური, პრინციპული რეფორმისტი, ექიმი მასუდ ფეზეშქიანი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, არ გამწვავდება კონფლიქტი იქამდე, რომ გრძელი ფესვები და ტოტები გაიკეთოს.

**- ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ჯერ კიდევ საქართველოს საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე უთხრა უარი ჩვენს პრემიერს მიღებაზე, ევროკავშირიც საკმაოდ უბადრუკი მტკიცებულებებით ცდილობს საქართველოს ჩამოშორებას, იმუქრება სავიზო რეჟიმის გაუქმებით... ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ რუსეთ-ამერიკამ მოილაპარაკეს და მსოფლიო გადანაწილების პროცესში საქართველო, როგორც ყოველთვის, რუსეთს შეატოვეს...**

- გმადლობთ სტერეოტიპებისგან თავისუფალი შეკითხვისთვის. ყველა საუბრობს აშშ-რუსეთის დაპირისპირებაზე და არა ალიანსზე, არადა, ეს ალიანსი არ არის არც პირველი, არც ახალი და არც ჰაერში გამოკიდებული. ჯერ კიდევ როდის მიმართა ჰენრი კისინჯერმა (ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი) ამ ორი სახელმწიფოს მეთაურებს, არ დაეჯახოთ ეს ორი პოლუსი - საბჭოთა კავშირი და აშშ ერთმანეთს, დახედით, მოილაპარაკეთ და გადაინაწილეთ მსოფლიო. ძალიან ხშირად, მართლაც, ამ მიმართულებით მიდის პროცესები, ერთმანეთს ეპაექრებიან, ვის რამდენ და რომელ ტერიტორიაზე რა გავლენა ექნება. მაგალითად, ჯერ კიდევ 1955 წელს, ნატოსთან დასაპირისპირებლად, ვარშავის ხელშეკრულებით მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მიზნით, სამხედრო კავშირი შექმნა საბჭოთა კავშირმა. ეს ფაქტი იმიტომ გავიხსენე, რომ თუკი ზესახელმწიფოები ერთმანეთს არ არტყამენ და საკუთარ ძალებს მომხრეებითა და ტერიტორიებზე გავლენის სფეროებით ზომავენ, მაშინ საქართველოსაც შეგვიძლია მივუჩინოთ ადგილი ამ სქემაში. კერძოდ, 2003 წელს ფერადი რევოლუციების ერთ-ერთი სახეობა - ვარდების რევოლუციის სცენარი ამერიკელმა პენსიონერმა ჯინ შარპმა დაწერა, რომელსაც ჰქონდა ჩამოწერილი მთელი სამოქმედო გეგმა თავისი ტელევიზიებით, ენჯეოებით, ახალგაზრდების როლით, ანუ ის ყველაფერი, რაც ვნახეთ... არ ელოდნენ ამერიკელები, მაგრამ რა ენაღვლებოდათ, მოსინჯეს და თავადაც გაოცდნენ წარმატებებით. მაშინ განაცხადა მამა სოროსმა, ექსპერიმენტი გამოვიდაო. გაუკვირდა ბუშსაც, იმდენად, რომ ამხელა ფიგურა ჩამოვიდა საქართველოში - გახარებული იყო, მიტინგზე თქვა, ასეთი რევოლუციებით ავღანეთამდე მივალთო. ანუ მთელი კონტინენტის გაკონტროლება მოუნდა, მაგრამ აქაც ერთი საინტერესო დეტალი იყო, ეს გავლენა უნდა გაეყო რუსეთისთვისაც. ასე გადატეხა კისინჯერის ფორმულა ბუშმა, გადაინაწილა რუსეთთან როლები: ფინანსებით თუ სცენარით ამერიკა შედიოდა ქვეყნებში, ხოლო ხალხის მობილიზაციას რუსეთის სპეცსამსახურები ახდენდა... მაგრამ შემდეგ, ამერიკამ ყირგიზეთში რომ მოაწყო იგივე სცენარით რევოლუცია, აღმოაჩინა, რომ პუტინი არ იბნევა, თავის ხალხს სვამს ამ ქვეყნების სათავეში და „ადურაკებს“ ამერიკელებს. უკრაინაში ტიმოშენკოს რომ აუჯანყდნენ და ციხეში ჩასვეს, სწორედ რუსეთისთვის უკრაინული მიწების მიყიდვა დაუმტკიცეს. მაშინ გაიელვა ამ ვერსიამ, რუსეთი ხომ არ თამაშობდა უკრაინაში, არადა, სწორედ იმ დროს იქ ამერიკაც თამაშობდა. აქეთ, საქართველოში რომ შემოვიხედოთ, ანალოგიურ სურათს დავინახავთ, უბრალოდ, უნდა გავიხსენოთ, ვისი ბიძა იჯდა ხოლმე მინისტრთა კაბინეტის სხდომებზე საქართველოში. ეს არ იყო მხოლოდ ქართული მოვლენა, უბრალოდ, რუსეთი და ამერიკა ერთობოდნენ ჩვენს ტერიტორიებზე... როგორც იქნა, მოვედი თქვენი კითხვის პასუხთან: ახლაც მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა.

**- რაში?**

- ჩინეთის გაჩერება უნდა ამერიკას, რადგან მისთვის რეალური კონკურენტია ეკონომიკის თვალსაზრისით. ამ მხრივ, რუსეთს კონკურენტად არ მოიაზრებს, მასთან უფრო საბაბს ეძებს საჩხუბრად... აქედან, რუსეთსაც უნდა ჩინეთის ჩაკეტვა, რომ ამ უკანასკნელმა არ გაიაროს კავკასიაში, რადგან კარგად იცის, ჩრდილოეთ კავკასიას უცებ გადაივლის, გადავა სამხრეთით და შავ ზღვას მიადგება. ეს არც ამერიკას უნდა და არც რუსეთს, რადგან ტრილიონიანი ტვირთები გავა საქართველოზე. თანაც ისიც გაითვალისწინეთ, რომ აშშ-ს არც ევროპის წინსვლა სურს.

**- ამ დროს ევროპა რა პოზიციას იკავებს?**

იხ. მე-4 გვ.

*„ ბაიდენმა საკმაოდ გვიან - უკვე ომის დაწყების შემდეგ აღმოაჩინა, რომ მსოფლიოს არანაირად არ აძლევდა ხელს რუსეთის დაშლა, რადგან ჩინეთი აგერ - ევროპამდე მოვა. შე მამაცხონებულო, სანამ ომს დაიწყებდი, ვერ დახედე რუკას?! თან აქ ხომ მხოლოდ ამერიკა არ იყო ჩართული? - გერმანია, საფრანგეთი და სხვა... ამხელა ქვეყნებმა გადადგეს ასეთი დაუფიქრებელი ნაბიჯები. ახლა არ იციან, რა ქნან*

# გიორგი კირთაძე: გაყალბების უამრავი ფაქტია გამომზეურებული...

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

***ჩატარდა არჩევნები და ტრადიციულად, დაიწყო საუბარი გაყალბებაზე, პარლამენტის ბლოკირებასა და ახალი არჩევნების ჩატარების აუცილებლობაზე. ოპოზიცია მსვლელობებს, მიტინგებს განაგრძობს. დაიწყო ერთმანეთის მიმართ ბრალდებების წაყენება, რაც კიდევ უფრო ამწვავებს პოლიტიკოსთა პოლარიზაციას. „ქართული ოცნების“ ლიდერების აზრით, პარლამენტში შესული ოთხივე ოპოზიციური პარტია „ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენს. „26 ოქტომბრის შემდეგ „ნაცია“ ყველა. ამ პარტიებმა უცხოეთიდან კარნახით შეიმუშავეს ტაქტიკა და იმ მიზნით, რომ ბარიერი გადაელახათ, ერთმანეთზე ხელოვნურად ანაწილებდნენ ხმებს“, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა***

*რას ფიქრობენ თავად ამ პარტიების წარმომადგენლები და რას აპირებენ უახლოეს მომავალში? - ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება „ნაციონალური მოძრაობის“ აჭარის ორგანიზაციის ყოფილი ლიდერი, ამჟამად „ახალის“ წევრი* ***გიორგი კირთაძე.*** *მისი თქმით, ხმების გადანაწილება არ ყოფილა, ხოლო ოპოზიციის მიზანი საქართველოში არსებული წრის გარღვევა და ახალი სამართლის დამკვიდრებაა, რისი მიღწევაც შესაძლებელია ახალი სტრატეგიით.*

**- ბატონო გიორგი, საუბრის დასაწყისში მინდა, მოგილოცოთ პარლამენტარობა...**

- არ შევდივართ პარლამენტში! ახლა მხოლოდ და მხოლოდ გარედან შევძლებთ მმართველ გუნდზე ზემოქმედებას და სამართლიანობის აღდგენას. სხვა გზა არ დაგვიტოვეს.

**- არჩევნების შედეგებს გულისხმობთ? მმართველი გუნდი არ ეთანხმება თქვენს განცხადებებს და ითხოვს არჩევნების გაყალბების მტკიცებულებებს.**

- ეს მტკიცებულებები უკვე საჯაროდ წარმოვადგინეთ და კიდევ ერთხელ გავიმეორებ თქვენი გაზეთის მკითხველებისთვის: წინასაარჩევნოდ და არჩევნების დღეს მიმდინარეობდა ტოტალური დაშინება, მოსყიდვა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. ამის ვიდეომასალები უკვე გავრცელებული და ყველასთვის ხელმისაწვდომია. გარდა ამისა, აღინიშნა ხმის მიცემის პროცესის კონტროლი. პრაქტიკულად, ხედავდნენ ყველა ადამიანს, ვინ ვის აძლევდა ხმას. აქედან გამომდინარე, ყველა ადეკვატურად მოაზროვნე ხვდება, რომ ეს არჩევნები ხალხის რეალურ ნებას არ ასახავდა. ამ ყველაფერს დაემატა „კარუსელები“, რაც დამტკიცდა უბნებში ზედმეტი პირების დაფიქსირებით, ანუ უბანზე რეგისტრირებული თუ იყო 500 კაცი, საბოლოო შედეგებში დაფიქსირდა 550 ბიულეტენი. მსგავსი კონკრეტული ფაქტები უკვე დამტკიცებულია, რაც მოწმობს არჩევნებში მანიპულაციებს. სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას „ოცნების“ მიერ არჩევნების მოგება ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 99.9% ითხოვს ევროკავშირში შესვლას და

ყველამ იცის, რომ არსებული მმართველი გუნდის პოლიტიკის წყალობით დავკარგეთ დასავლეთის მხარდაჭერა. არავის უნდა რუსეთი და მაინც ირჩევს რუსეთის მომხრე პოლიტიკურ პარტიას? ეს ლოგიკაში არ ჯდება. სწორედ დაშინებით, მოსყიდვით, მანიპულაციებით და კონტროლით შეძლეს შეუძლებელი.

**- „დაშინებაში“ ომის მუქარას გულისხმობთ?**

- რა ომი, პირდაპირ აშინებდნენ სამსახურებიდან გათავისუფლებით, შემწეობის შეწყვეტით, ოჯახის წევრის დაჭერით, ანუ ყველაფრით, რისი ბერკეტიც გააჩნდათ.

**- ამ ყველაფრის კონკრეტული ფაქტები გაქვთ?**

- ფაქტები მე კი არ მაქვს, საერთო კვლევებითა და გამოკითხვებით დასტურდება. ყველამ კარგად იცის, რაც ხდებოდა. არავის სჭირდება დოკუმენტები. საჩივრები დაიწერა და მივმართეთ სასამართლოს, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა მოხდება. ძალიან მეეჭვება, რომ ესენი თავიანთ საწინააღმდეგო გამოძიებას ჩაატარებენ და სიმართლეს აღიარებენ. იმიტომაც იყო, სრულიად არ ღელავდნენ წინასაარჩევნოდ. რადგან ყველაფერი მოგვარებული ჰქონდათ, არ ეშინოდათ წაგების. ელექტრონულმა მანქანებმაც კი მათთვის იმუშავა - მთლიანი ბაზები ჩატვირთეს... ან ის „კაბინები“ იყო? მსგავსი ყუთებით როგორ დაიცავდნენ ხმის მიცემის ფარულობის პრინციპს. ყველა კონტროლდებოდა ვიდეოთვალებით. ცხადია, ამომრჩეველმა იცოდა ეს და ფრთხილობდა. ამ ინფლაციის და უმუშევრობის დროს ვის უნდა უმუშევრად დარჩენა - იცით, რა მდგომარეობა აქვს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს.

**- რას აპირებს ოპოზიცია ამ ეტაპზე?**

- ქუჩაში გასვლა ჩვენი უძლიერესი იარაღია, აქციების უწყვეტობა უმნიშვნელოვანესია მიზნის მისაღწევად. უკვე ჩავატარეთ თბილისში მსვლელობა, მტკვრის ორივე სანაპირო გადაიკეტა. ეს არ შეჩერდება და დარწმუნებული ვარ, უამრავი ადამიანი შემოგვიერთდება. ყოველდღე დავაანონსებთ და მოვაწყობთ სხვადასხვა ტიპის აქციებს, განვახორციელებთ საპროტესტო აქტივობებს ცესკოსთან თუ პარლამენტთან. უკვე ბევრი ითხოვს ამ ტალღის აგორებას, რათა ჩვენთან ერთად დადგნენ და დააფიქსირონ პოზიცია, დაიცვან საკუთარი ხმა და არჩევანი. მოკლედ, უმნიშვნელოვანესია ქუჩაში პროტესტი, ამ არჩევნების არაღიარება, პარლამენტში ოპოზიციონერი დეპუტატების არშესვლა და მჭიდრო ურთიერთობა ჩვენს საერთაშორისო მეგობრებთან, რომლებმაც, ასევე, არ უნდა აღიარონ ყალბი არჩევნების შედეგები. მჯერა, რომ ეს ნაბიჯები მიგვიყვანს არსებული ხმების განულებამდე და ახალი, სამართლიანი, გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებამდე.

**- როგორ ფიქრობთ, მტკიცებულებები, რომლებიც ოპოზიციამ წარმოადგინა, საკმარისი იქნება?**

- ამ საკითხს სჭირდება საერთაშორისო ორგანოების და არა ადგილობრივი, „ოცნების“ ქუსლქვეშ მყოფი პროკურატურის გამოძიება.

**- თქვენი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ევროკავშირმა რომ აღიაროს საქართველოში ჩატარებული 26 ოქტომბრის არჩევნები, რას აპირებთ - შეხვალთ პარლამენტში და საკანონმდებლო ორგანოდან გააგრძელებთ ბრძოლას?**

- არა მგონია, ასე მოხდეს, რადგან ამ შემთხვევაში დასავლეთი დაუშვებს დიდ შეცდომას და უღალატებს დემოკრატიულ ღირებულებებს. რუსეთის ზეგავლენის და ოლიგარქიული მმართველობის გაგრძელება ურთულეს პრობლემებს შეუქმნის ჩვენს სახელმწიფოს. ეს ჩემი ხედვაა და დარწმუნებული ვარ, რომ ევროპის წამყვანი ქვეყნები მსგავს გადაწყვეტილებას არ მიიღებენ. გაყალბების უამრავი ფაქტია გამომზეურებული და უკვე იციან, რომ ეს არჩევნები არ ასახავს ქართველი ხალხის ნებას. ევროპელ მეგობრებთან ერთად, ვითხოვთ საერთაშორისო დონის გამოძიებას და, თუკი მიზანს მივაღწევთ, ნახავთ, რომ, პრემიერიდან ცესკოს თავმჯდომარემდე, უზარმაზარი დანაშაული აქვთ ჩადენილი საკუთარი ერის წინაშე.

**- ოპოზიციის მიერ პარლამენტის ბოიკოტირება აქამდეც იყო, თუმცა საბოლოოდ მაინც შევიდნენ საკანონმდებლო ორგანოში. როგორ ფიქრობთ, ანალოგიური ხომ არ არის მოსალოდნელი?**

- აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა ახლა. მაშინ ჩვენმა დასავლელმა მეგობრებმა გვითხრეს, რომ ქვეყნის განვითარებისთვის ჩვენი ქუჩაში ყოფნა არ ივარგებდა, მოგვიწოდეს, უთანხმოებები საკანონმდებლო ორგანოში ან მორიგი არჩევნების დროს მოგვეწესრიგებინა. დღესდღეობით, აღარც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს და აღარც ევროკავშირს სჯერა, რომ აქ დემოკრატიული პროცესები მიმდინარეობს, უკვე დარწმუნდნენ საპირისპიროში. რიგი ევროპული ქვეყნების პოლიტიკური ლიდერები მკაფიოდ აფიქსირებენ, რომ საქართველოში არჩევნები არის მიტაცებული.

**- ტრამპის გაპრეზიდენტების გამო, ოპოზიცია არ ფარავს სიხარულს, რისი იმედი გაქვთ?**

- იმედი გვაქვს, რომ ტრამპის ხელმძღვანელობით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ისევე როგორც ბაიდენის ადმინისტრაცია, ივანიშვილს არჩევნების მოპარულ ნაწილს და ქართველი ხალხის ნების მიტაცებას არ „გაუპრავებს“. აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენის განცხადებით, საპარლამენტო არჩევნების პროცესში დაირღვა ყველა საერთაშორისო ნორმა. მისი თქმით, წინასაარჩევნო გარემო ხასიათდებოდა მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებით, ხმების მოსყიდვითა და ამომრჩეველთა დაშინებით. სახელმწიფო მდივანმა ისიც აღნიშნა, რომ ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო არათანაბარი პირობების შექმნას და შეარყია საზოგადოებრივი და საერთაშორისო ნდობა სამართლიანი შედეგის შესაძლებლობის მიმართ. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ მხოლოდ ბლინკენს არ დაუფიქსირებია ამ საკითხზე ჩვენთვის მისაღები პოზიცია. პასკალ ალიზარდმა, ეუთოს სპეციალურმა კოორდინატორმა და ეუთოს მოკლევადიან დამკვირვებელთა ხელმძღვანელმაც თქვა, რომ კარგად ადმინისტრირებული საარჩევნო დღის მიუხედავად, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებმა არაერთი ხარვეზი აღმოაჩინეს როგორც წინასაარჩევნო პროცესში, ისე თავად არჩევნების დღეს. აქ ყველა განცხადებას ვერ ჩამოვთვლი, ვისაც აინტერესებს, იოლად გაეცნობა. უბრალოდ ვიტყვი, კეთდებოდა ორმხრივი, ორპარტიული განცხადებები, რომლებიც კონგრესსა და სენატში განიხილებოდა და რომლის მიხედვითაც კეთდებოდა შესაბამისი დასკვნები. ჯერ კიდევ NDI-სა და IRI-ს შეფასებამდე, საკუთარი შეფასებები გაავრცელა „არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპულმა ქსელმა“ (ENEMO), რომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნები პოლარიზებულ და შეზღუდულ გარემოში ჩატარდა, რაც ძირს უთხრის ინკლუზიურობას, გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

**- რამდენად რეალურად მიგაჩნიათ მმართველი გუნდის მიერ გაჟღერებული ომის საფრთხე?**

- ჩვენ კარგად ვიცით, რომ ომი ევროკავშირში არასოდეს მომხდარა. შესაბამისად, საქართველოს გადარჩენა ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციით არის შესაძლებელი. მხოლოდ ეს დაგვიცავს რუსეთის მოულოდნელი თავდასხმებისა და პრეტენზიებისგან. სხვაგვარად უსაფრთხო მომავალს ვერ მივაღწევთ, ივანიშვილი კი ჩვენს საერთაშორისო მეგობრებს, ევროკავშირს და ნატოს გვაშორებს, მეგობრების გარეშე როგორ ვართ უფრო დაცულები, იქნებ აგვიხსნას ვინმემ... აქვე ვიტყვი, რომ ოპოზიციური კოალიციების ლიდერები საქართველოში ევროკავშირის ელჩ პაველ ჰერჩინსკის შეხვდნენ, გადასცეს არჩევნების გაყალბების მტკიცებულებები და იმედი გვაქვს, ჩვენი მოთხოვნისამებრ, დაინიშნება საერთაშორისო გამოძიება, რომელიც საბოლოოდ დაადგენს ჭეშმარიტებას.

# ამერიკა-რუსეთის ალიანსი - საქართველოს წინააღმდეგ

## „...ეს არც ამერიკას უნდა და არც რუსეთს, რადგან ტრილიონიანი ტვირთები გავა საქართველოზე“

მე-3 გვერდიდან

- აი, თითქოს ჭკვიანები ხომ არიან, ისეთ დღეში ჩაიგდეს თავი საკუთარი დაუფიქრებელი მოქმედებებით და ვითომდა რუსეთის სანქციირებით, ენერგომატარებლების საფასურს ველარ იხდიან და კრიზისი ეწყებათ. სისულელეების კეთებაში ცხოვრება ხელს არ გიშლის, მაგრამ საბოლოოდ არაფერს გპატიობს და ყველაფერს გაზღვევინებს. სწორედ ეს დაემართა დღეს ევროპას. ამერიკამ წამოიკიდა მთელი ევროპა და მუხლებზე დაიჩოქა...

**- რაში სჭირდებოდა ამერიკას ევროპის დასჯა - ისინი ხომ ერთად მოიაზრებიან დემოკრატიის სადარაჯოზე?**

- არც ისე მარტივადაა საქმე, როგორც გარედან ჩანს. საფრანგეთმა და გერმანიამ ბოლოს მოუხშირეს განცხადებების კეთებას: „ამერიკამ თავის თავს მოუაროს და ევროპამ - თავისას“, შემოიღეს საკუთარი ვალუტა, საუბრობდნენ ნატოს შეიარაღების გაძვირებაზე და სხვა, რაც ნიშნავდა ამერიკის თავიდან მოშორების მცდელობას. ბრმა უნდა ყოფილიყო ამერიკა, ეს ყველაფერი რომ ვერ დაენახა და... რა ქნა? ხელი შეუწყო უკრაინაში ომის გაჩაღებას, შემდეგ კი სადავეები გადააბარა ევროპას - მიაწოდეთ ზელენსკის იარაღი და სახსრები, თორემ თუ რუსეთმა მოიგო, თქვენ მოგადგებათო, ანუ საფრთხობელად პუტინი გამოიყენა. დაიწყო ევროპამ უკრაინის დახმარება და... გაწყდა წელში.

**- რაც შეეხება საქართველოს, რა პერსპექტივები გვაქვს?**

- არ ვიცი, სხვათა შორის, აქაც რამდენიმე ვერსიაა. თუ ტრამპმა გააგრძელა ჩინეთთან ჭიდაობის პოლიტიკა, რასაც პირველი პრეზიდენტობის დროს დაუდო სათავე, მაშინ ჩვენც მიგვაყოლებს, რადგან უკვე გვაქვს პარტნიორობა ჩინეთთან, რომელიც დიდ ინვესტიციებს დებს საქართველოში. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენ ხელს გვაძლევს ეს როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად.

**- პოლიტიკურად?**

- დიახ, რადგან თუ დავაკვირდებით, რუსეთი ჩინეთს „შენობით“ ვერ ელაპარაკება, ანუ ვერ ეკამათება. აშშ-ს, ევროპას, სხვებს ეჩხუბება, პრეტენზიებს უყენებს, ხოლო ჩინეთთან, იმის მიუხედავად, რომ ნახევარი ციმბირი წაიღო, ხმას ვერ იღებს.

**- და ჩვენ „ცუდ დღეში“ რატომ აღმოვჩნდებით?**

- თუკი ამერიკამ მიზნად დაისახა ჩინეთთან ჭიდაობა“, კავკასიაზე გამსვლელი გზა იქნება ასაფეთქებელი და ისევე, როგორც ბაიდენი, ტრამპიც ეცდება აქ ხელისუფლების ცვლილებას. ამას მოჰყვება რევოლუციები, ომს რომ ეძახის „ოცნების“ ხალხი... აქედან გამომდინარე, ამერიკას ხელს აძლევს დესტაბილიზაცია. აბა, შლაგბაუმს ხომ ვერ დააყენებს ამ გზაზე (შლაგბაუმი, ამ შემთხვევაში, არის ომი - რ. ს.)?!

**- დესტაბილიზაციას ოპოზიციის საშუალებით მოაწყობს?**

- როგორც ჩანს, ცდილობდა ოპოზიციის დახმარებით, მაგრამ ვერ აღმოჩნდა ჩვენი ოპოზიცია ამდენად ეფექტური, იმიტომ იძახდნენ ივანიშვილი და კობახიძე, ოპოზიცია ცდილობს ხელისუფლების შეცვლასო. პედალირებას იმაზე აკეთებდნენ, რომ საქართველოს უნდა ჰყავდეს საკუთარი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება და არა - გარედან დანიშნული.

**- თუკი არ ცნო ევროკავშირმა არჩევნები, ყველაფერი ისევ დესტაბილიზაციისკენ წავა?**

- არა, არ წავა. იკვეთება ისეთი სიტუაცია, რომელიც ძალიან საინტერესო სურათს ქმნის. შეიქმნა „ბრიკსი“, სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გაერთიანება, რომელშიც ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა გაერთიანდნენ. მსოფლიო მზარდი შეშფოთებით აკვირდება, რამდენად მძიმედ შეუტევს გიგანტური ეკონომიკისა და კიდევ უფრო დიდი ამბიციების მქონე „ბრიკსი“ მსოფლიო წესრიგს. ევროპაზე განაწყენებული ქვეყნები უკვე მიდიან მისკენ... მაგალითად, თურქეთი... ალტერნატივის გაჩენა ჩვენც გვაძლევს ხელს, რადგან შესაძლებელია, საქართველომაც ეს გზა არჩიოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არ წავალთ აქეთკენ... პუტინი რომ მოვიდა, ივანიშვილი წამოვიდა და 9 წელი ჭორვილაში უჩინრად იჯდა. ბიძინას არ აძლევს ხელს პუტინთან ურთიერთობა.

**- აბა, პუტინის კაციაო, რომ ამბობენ?**

- რაში გამოიხატება ეს, ვინ ამბობს?!

**- ოპოზიცია...**

- (იცინის გულიანად - ი. ც.) ოპოზიციამ, აბა, რა უნდა თქვას?!.

# „შემოდგომა ქედაში“ - სიყვარულისა და მეგობრობის დღესასწაული

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***ქედა თავისი გეოგრაფიით, მარჯვენადალოცვილი ადამიანებით, ღვთივკურთხეული საქართველოს ნაწილია. მდიდარი წარსულით, დღევანდელობით, მომავლისკენ სწრაფვით, თავის სიტყვას ამბობს სამი ღვთაებრივი საუნჯის - მამულის, ენისა და სარწმუნოების სადარაჯოზე. ამბობს და საქმითაც ადასტურებს, ყველასა და ყველაფერს თავისებურად ეფერება, რაც წლევანდელ სახალხო ზეიმზეც „შემოდგომა ქედაში“ კარგად წარმოჩნდა***

მდინარეების აკავრეთისა და აჭარისწყლის შესართავი აირჩია ქედელმა ტრადიციული სახალხო ზეიმის გასამართად. ამ გამშვენიერებულ ტერიტორიას ღვაწლმოსილი შემოქმედის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, მწერალ ფრიდონ ხალვაშის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი უწოდეს. წელს კი საჩინო ადგილზე, 30 მეტრის სიმაღლის სვეტზე, ქართული ხუთჯვრიანი დროშა აღიმართა.

- დიდი პატივია თითოეული ჩვენგანისთვის გამორჩეულ ადგილზე დროშის აღმართვა. მოყვარე და თუნდაც მტერი, რომელიც ქვეყანას არც შიგნით აკლია და არც გარეთ, ამ სიმბოლოს თვალს რომ შეავლებს, უმალვე იგრძნობს ჩვენს სიძლიერეს, წლების განმავლობაში ბრძოლისა და თავგანწირვის ფასად მოპოვებული დამოუკიდებლობის მადლს, - თქვა აჭარის უმაღლეს საბჭოში არჩეულმა დელეგატმა მამუკა თურმანიძემ.

შემოდგომის მიწურულს თუ გაივლი ზვარეს, ცხმორისის, წონიარისის, ზენდიდის, მერისის ზვრებში, თვალს ჰკიდებ ნეკერჩხალზე გასულ ჩხავერს. ჯერ კიდევ დაუდგენელია, რომელ ათწლეულში დაიმეგობრა ქედელმა ვაზის ეს ჯიში. მთავარი ერთია, რომ ბოლო წლებში ქვევრი, მარანი, ღვინო მრავალ სოფელსა და დასახლებულ უბანში მეტ ფასს იძენს. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ სახალხო ზეიმს „შემოდგომა ქედაში“ ღვინის ფესტივალიც მიუერთეს.

წლევანდელ ზეიმზე 20-მდე მეღვინე წარსდგა საკუთარ მარანში დაწურული ღვინით. მათ ნახელავს დამგემოვნებელიც მრავლად ჰყავდა და შემფასებელიც. გეგელიძეებელი ნური სირაბიძის მარნის ღვინო დააგემოვნეს აჭარის უმაღლეს საბჭოში არჩეულმა ბათუმელთა დელეგატმა რამაზ ჯინჭარაძემ და მისმა მეგობრებმა.

- საზეიმო განწყობაა. უხარიათ მასპინძლებს და ეს განწყობა სტუმარზეც გადმოდის. გულუხვი, მეგობრობის, სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის მიმდევარი მასპინძელი - ქედა, სადღეგრძელოს წარმოთქმის ხასიათზე გვაყენებს. მადლობა ქედელებს, - გვითხრა რამაზ ჯინჭარაძემ.

მოზეიმეებმა მალხაზ თურმანიძის, ამირან მახარაძის, მირიან პაპუნიძის, ძმები ავალიანების, შერვაშიძეების, ენრიკეს მარნების, ქედის ღვინის ქარხნის, აჭარული ღვინის სახლის ღვინოებიც დააჭაშნიკეს, ადგილობრივი კულინარების, რესტორან „სანაპიროს“ მზარეულების მომზადებული კერძები დააგემოვნეს. მათ არც ხელოსნები, მქსოველ-მქარგავები ჩამორჩნენ.

ქედის სათემო განათლების ცენტრის წარმომადგენლები არიან ირმა დიასამიძე და დონარ ადვაძე. მათ ზეიმზე ქარგვა-ქსოვის 40-მდე ნიმუში მოიტანეს. 4 წელია, ხეზე კვეთის საქმეს მიჰყო ხელი უჩხითელმა რესან ყორუაძემ. მის მიერ გამოთლილი, მოხვეწილი ხის ჭურჭელი უკვე ასეულობით ოჯახის საყვარელ ნივთად იქცა. რესანი მასალად ადგილობრივ მერქანს, მეტწილად, თუთას, ბალს, წაბლს, მურყანს იყენებს.

ზეიმზე ყველაზე მეტად პატარები ერთობიან. გამონაკლისი არც „შემოდგომა ქედაში“ იყო. ზეიმის ორგანიზატორებმა, მოწვეულმა ანიმატორებმა შორენა მუკუტაძემ, გეგი კეშელავამ, ნინო მუთიძემ, ნატა კოზმოვამ ათეულობით პატარას თავი მოუყარეს და მათი გართობა არ დაიზარეს.

ქედის სასპორტო სკოლის, მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები სპორტულ ღონისძიებებს ხელმძღვანელობდნენ. ყველაზე მეტი მონაწილე ჭადრაკმა და ნარდმა მიიზიდა.

- უკვე რამდენიმე პარტია გათამაშდა, - გვითხრა ჭადრაკის სექციის ხელმძღვანელმა ნესტან მახაჭაძემ, - ოთხი თაობის ქედელები და მათი სტუმრები ერთმანეთს ნარდში გაეჯიბრნენ. გამარჯვებულები წახალისდებიან.

ზეიმის წამყვანებმა თაკო ჩოროგაშვილმა და ზურა გორგაძემ დამსწრეთ წინა საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე გამოვლილი გზა გააცნეს. აღინიშნა, რომ „შემოდგომა ქედაში“ ერთიანობის, სიყვარულის, მოფერების, ურთიერთპატივისცემის, ეროვნულობის ზეიმი იყო. ქედელი კაცი წელიწადის ამ ბარაქიან დროს ეფერება თავის კუთხეს. სათქმელიც აქვს და საამაყოც. თავიანთ მისასალმებელ სიტყვებში დღევანდელობასა და მომავლის გეგმებზე ისაუბრეს ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ.

როგორც ბატონმა თორნიკემ აღნიშნა, რეგიონის მასშტაბით, ქედას მმართველი პარტიის კურსის მხარდაჭერის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა. წინასაარჩევნოდ იგი ქედელებს შეჰპირდა, რომ მიღწეულ შედეგებს ყველაზე გამორჩეულ ღონისძიებაზე მიულოცავდა და ეს დღეც დადგა. თორნიკე რიჟვაძემ ქედელებს, მათ სტუმრებს ზეიმი მიულოცა და ფრიად საპატიო მისიის - „საპატიო ქედელის“ დიპლომით დაჯილდოებას შეუდგა. ეს აღიარება წილად ხვდა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი სტრუქტურის ყოფილ პირველ პირს, წარმატებულ ბიზნესმენს, ქველმოქმედ ზურაბ ავალიანს. ზეიმის მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატები ანზორ ბოლქვაძე, ფრიდონ ფუტკარაძე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე. მათ და როლანდ ბერიძემ „საპატიო ქედელების“ დიპლომები გადასცეს ცნობილ სტომატოლოგს, მედიცინის აკადემიურ დოქტორ გოდერძი ნაკაშიძეს, ბიზნესმენს, წიგნების გამოცემის დამფინანსებელ ვლადიმერ მოსიძეს, ცნობილ მეტყევე თეიმურაზ პაპუნიძეს, სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენლებს, ექიმ იამზე ბარამიძეს, ფინანსისტ თამაზ შავლიძეს. გარდაცვალების შემდეგ პატივი მიაგეს ქედის რაიონის ყოფილ მოსამართლე ნარგიზ დიასამიძეს. დიპლომი მის ქალიშვილს გადაეცა.

ქედის ტურიზმის განვითარების ცენტრი მთელი წლის განმავლობაში ატარებდა ფოტოკონკურსს თემაზე „ტურიზმი ქედაში“. ცენტრის ხელმძღვანელობამ პირველი ადგილი ბაკურ ბერიძეს მიაკუთვნა, მეორე - ნინო ამაღლობელს, მესამე - ქეთევან მგელაძეს. ისინი სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

- ქედელების ზეიმი ცეკვა-სიმღერის გარეშე წარმოუდგენელია, - გვითხრა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბეთლემის“ ხელმძღვანელმა იმედა ფარტენაძემ. ამ კოლექტივს წელს სახალხო ანსამბლის წოდება მიენიჭა. თანარაიონელი მაყურებლის წინაშე მათთან ერთად წარსდგნენ ქედის კულტურის ცენტრთან, მერისის, ცხმორისის სასოფლო კულტურის სახლებთან არსებული ანსამბლები „ელესა“, „მოყვარე“, „ფესვები“, ტრიო „გოგლაურა“, ბენდი, სახელოვნებო სკოლის ანსამბლი „ჩანგი“, სალოტბარო სკოლის ანსამბლი.

ღონისძიების დასასრულს სცენა ანსამბლ „ურსას“ დაეთმო.

ჩავიწერეთ ზეიმის რამდენიმე მონაწილის შთაბეჭდილებები.

**ბია ონიანი, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი:** - ამინდი შესანიშნავი იყო, რამაც მოზეიმე ადამიანებს განსაკუთრებული განწყობა შეუქმნა. მეც მათ რიგებში ვარ, ვინც მთიანი აჭარის უმშვენიერესი და ულამაზესი რაიონის დღესასწაული გაიზიარა. ვუსურვებ ქედელებს მშვიდობას, კეთილდღეობას, ერისა და ქვეყნის სამსახურში ყოფნას. დალოცოს უფალმა ყველა მოზეიმე.

**აიშე თებიძე, ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი:** - მივიწყებული ეს ზეიმი რომ წამოიწყეს, მოსწავლე ვიყავი. მას შემდეგ ყველა დღესასწაულს ვესწრები. 1985 წლიდან ღირსეულ ადამიანებს „საპატიო ქედელებად“ ირჩევენ. წელს ეს პატივი შვიდ პიროვნებას ხვდა წილად, რომელთაგან ორი ქალია.

**გიორგი ძოწენიძე, ანსაბლ „ურსას“ წევრი:** - გავამხიარულეთ ქედელები. წელს „შუამთობაზე“ გახლდით მთებში. შემოდგომაზე ბარად ჩამოვინაცვლეთ. ასე ვეფერებით აჭარას, აქ მცხოვრებ ღირსეულ ადამიანებს. მრავალ ზეიმს დაესწარით.

ბიზნესმენმა ზურაბ ავალიანმა ზეიმის დღეს, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარედ, მახუნცეთის ტერიტორიაზე ახალი კომერციული ობიექტი გახსნა. ცერემონიას რეგიონისა და ქედის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები დაესწრნენ. ახალი ობიექტი დიდ როლს შეასრულებს ტურისტების მოზიდვაში. აქ შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ღონისძიების გამართვა.

# ფრიდონ ფუტკარაძე: მთავარი პრიორიტეტი ისევ მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვაა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*ფრიდონ ფუტკარაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წინა მოწვევის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი იყო. „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო“ - დაუფასა ჯერ მმართველმა პარტიამ, შემდეგ კი ამომრჩეველმა და 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე ისევ მიიღო დიდი მხარდაჭერა. იგი ამ ორგანოში 4 წლის განმავლობაში, პირველ რიგში, შუახეველთა ინტერესების დამცველი იქნება, როგორც მათი დელეგატი.* ***ფრიდონ ფუტკარაძე*** *ჩვენი სტუმარია*

**- ბატონო ფრიდონ, პროპორციული სიით დეპუტატად წარდგენა დიდი პატივია, მაგრამ უფრო დიდი - ამომრჩეველთა ერთსულოვანი მხარდაჭერა. რა მოლოდინი გქონდათ?**

- თითოეული ჩვენგანი პირადი ცხოვრებითა და საზოგადოებასთან, კონკრეტულ ადამიანებთან ურთიერთობით მოვდივართ. 48 წელი უკან მოვიტოვე და ერთი დღე უდარდელად არ მიცხოვრია. ბაბუა ნური ფუტკარაძე მარეთის ხეობაში ცნობილი პიროვნება იყო. ოჯახში მუდამ სასურველი და სანატრელი სტუმარი გვყავდა. მამამ სამსახურებრივი კარიერა ადგილობრივ პრესაში დაიწყო და სიკვდილამდე ქვეყანასა და კუთხეს ემსახურებოდა. დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერი, უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატი, ცნობილი ქართველოლოგი, წარმატებული მეცნიერი იყო ძმა ტარიელი. არავის არაფერში ჩამორჩებოდა კიდევ ერთი გარდაცვლილი ძმა თემური. 4 ძმიდან წუთისოფელს ექიმი ავთანდილი და პოლიტიკაში ფეხშედგმული თქვენი მონა-მორჩილი შემოვრჩით. სოფლის მასწავლებლობიდან მოყოლებული, ვიმუშავე თვითმმართველობასა და სამართალდამცავ ორგანოებში. სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, 7 წელი ოჯახთან ერთად ხულოში ვცხოვრობდი. მე და ნესტანი ორი ზრდასრული ვაჟისა და ქალიშვილის მშობლები ვართ. გარს მახვევია დიდი სანათესაო, სამოყვრო და სამეგობრო. წარმატების მოლოდინი რომ არ მქონოდა, თავს შევიკავებდი. არასდროს მიფიქრია იმ მდინარეში შესვლა, რომელსაც ვერ გადავცურავ. პრესიდან თქვენი გაზეთი პირველია, რომლის ჟურნალისტისთვის სასურველ კითხვებზე პასუხების გაცემას ვაპირებ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველა ამომრჩეველს, რომელმაც ნდობა გამომიცხადა. დგება დრო მოქმედებისა. გამოგიტყდებით და უკვე რამდენიმე პიროვნებას თანადგომა, რეკომენდაცია გავუწიე სათანადო ინსტანციებში.

**- მთა, თითოეული უბანი და სოფელი თავისებურ მიდგომას ითხოვს. რა პერსპექტივას ხედავთ, რომ მთა დაცარიელებისგან ვიხსნათ?**

- წინასაარჩევნო კამპანია მიზნობრივი იყო. ბევრი წინადადება და სურვილი სამუშაო რეჟიმში გადავწყვიტეთ. მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა ისევ მთავარ პრიორიტეტად მიმაჩნია. მაგონდება 20-25 წლის წინანდელი სოფლები და დღევანდელს რომ ვუყურებ, თვალს არ ვუჯერებ. კიდევ მეტია გასაკეთებელი და კიდეც გაკეთდება. მარტო ტურიზმი ვერ გვიშველის, დროა გლობალური პროგრამების შემუშავება არსებული ბუნებრივი რესურსების ასათვისებლად. გავუხსნათ პირი ხაბელაშვილების, ყურთისონის, ახალდაბის, ცინარეთის გრანიტების, დარჩიძეების კირის, წაბლანა-გუდნას სპილენძის საბადოებს. 10-მდე მინერალური წყალი უმიზნოდ მოედინება, მსოფლიო კი წყლის კრიზისშია. ერთხელ გავახმიანე და ახლაც უნდა ვთქვა: მიზნობრივადაა გამოსაყენებელი ჰიდროორესურსები. მდინარეებზე რამდენიმე მცირე ჰესის აგებაა შესაძლებელი, მაგალითად, ნაჭივრის ტერიტორიაზე მშენებარე ჰესის მსგავსი. როცა შუახევის აღმასრულებელი სტრუქტურის პირველი პირი ვიყავი, შუახევის ტყეების დაცულ ტერიტორიებად გამოცხადებაზე საუბრობდნენ. ტყე და მისი რესურსი სულ სხვა მიდგომას ითხოვს და სანიტარიული ჭრებიც უნდა იყოს ნებადართული. ხალხის რჩეულების მთავარი მოვალეობაა, ხელი შევუწყოთ ადგილობრივ ბიზნესმენებს, მეტი ადგილობრივი ჩავრთოთ საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულ თანადაფინანსების პროგრამებში. ამ მიმართებით მეზობელ მუნიციპალიტეტებში მეტია გაკეთებული. უპირველეს მოვალეობად მიმაჩნია შუახეველი ახალგაზრდობის დაუოკებელი ენერგიისა და ხალასი ნიჭის ქვეყნის სამსახურში ჩაყენება. სამაგალითოდ ბოლო წლებში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათი შედეგებიც საკმარისია.

**- შუახევის მუნიციპალიტეტის პირველ პირად მუშაობის წლებში მრავალ წამოწყებას დაუდეთ სათავე. თქვენმა ძმამ ტარიელმაც დააფუძნა სახალხო დღესასწაული...**

- ყველა საღად მოაზროვნე პიროვნება უნდა ცდილობდეს, წუთისოფელში მადლიანი საქმეებით კეთილი კვალი დატოვოს. რაც მიკეთებია და მომავალშიც გავაკეთებ - ჩემი საქართველოსთვისაა. მე, 80 წელს გადაცილებული დედა ნათელა ვაშაყმაძე-ფუტკარაძე, ტარიელის მეუღლე იამზე ვაშაკიძე, საფუტკრეთის სხვა მკვიდრები ბედნიერები ვართ, რომ საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის „ზე-კართან“ მონაწილენი, ტარიელის სიცოცხლეშივე, ერთ დღეს ჩვენს კერაზე გამართულ ღონისძიებას უთმობდნენ. ასეა დღემდე. აქ მოდიან ტარიელის მეგობრები, მათი შვილები, ყოფილი სტუდენტები, თვალსაჩინო მეცნიერები, ქართველოლოგები, ფერეიდანსა და თურქეთში მცხოვრები ქართველები, უცხოეთში მომუშავე პოეტები, მხატვრები. მისასალმებელია, რომ საყოველთაო სახალხო დღესასწაულის სტატუსი დაიმკვიდრა „კუნტიჯვარობამ“. იგი ტარიელმა თანასოფლელებთან და მეგობრებთან ერთად წამოიწყო და შუახეველები მისდამი პატივისცემის ნიშნად აგრძელებენ. ჩვენი ვალია, მარტო ერთი პიროვნების ან ერთი სოფლის დღესასწაულის ამარა არ დავრჩეთ. მარტო წელს, აგვისტო-სექტემბერში, შუახევში 10-მდე სახალხო ზეიმი და მასობრივი ღონისძიება გაიმართა. ყველაფრის დამაგვირგვინებელი იყო ოქტომბერში გამართული „შუახევობა“, რომელიც „საპატიო შუახეველების“ არჩევით დასრულდა.

**- რა კრიტერიუმებით ირჩევთ „საპატიო შუახეველებს“?**

- იმ საზოგადოებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, რასაც ისინი წლებია ეწევიან შუახევისა და შუახეველთა სასარგებლოდ. არც მათ ვუკარგავთ ამაგს, ვინც ქვეყნის სხვა რეგიონებიდან იყვნენ მოვლინებულნი და წლები შეალიეს განათლების სისტემასა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას. ნომინანტებს კომისიური წესით ირჩევენ.

**- მეორედ იწყებთ საქმიანობას აჭარის უმაღლეს საბჭოში, როგორც ხალხის რჩეული. როგორც უკვე შემდგარი პოლიტიკოსი, როგორ შეაფასებთ ოპოზიციის ბრალდებებს?**

- სპეციალობით იურისტი ვარ. წლები ვიმუშავე სამართალდამცავ ორგანოებში. როცა სხვას ბრალს სდებ, დამამტკიცებელი არგუმენტები უნდა გქონდეს, ოპოზიციის ბრალდებები კი ჭიქაში ატეხილ ქარიშხალს მაგონებს. ჩვენ მილიონ 200 ათასმა ამომრჩეველმა დაგვიჭირა მხარი და მათი ხმების დამცველები ვიქნებით. ხალხი ბრძენია, არეულობა და ქაოსი აღარავის აწყობს. მით უმეტეს, როცა მსოფლიოში ომი ან ომისწინა პირობებია. როგორც პოლიტიკურმა პირმა, მადლიერება მინდა გამოვთქვა მმართველი პარტიის და მისი ხელმძღვანელობის მიერ გატარებული კურსისთვის, რომელიც ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას ემსახურება: ასევე, ქვეყნისა და რეგიონის პირველ პირებს გადავუხდი მადლობას გამოცხადებული დიდი ნდობისთვის. შევეცდები, მიზნობრივი საქმიანობით, ყველას ნდობა გავამართლო.

**- როგორც აღნიშნეთ, 3 შვილის მამა ხართ. ოჯახური სიწმინდის დაცვაზე რა აზრის ხართ?**

- ამ ასაკშიც კი, ჩემი ყველაზე დიდი მეოცნებეობა ოჯახია. ოგივე შემიძლია ვთქვა მამაზე, რომელიც 60 წელსაც არ იყო მიღწეული რომ გარდაიცვალა. ვაჟებთან და ქალიშვილთან ოჯახური სიწმინდის დაცვაზე საუბარიც არ მქონია. ოჯახში, სადაც ისინი გაიზარდნენ, ყველა სიწმინდე ღირებულია. თუ სულით, იდენტურობით, მრწამსით ქართველი ხარ, ერის მომავალზე ზრუნვით უნდა დაკავდე და ოჯახური სიწმინდე უნდა დაიცვა. რა თქმა უნდა, ჩემთვის მისაღებია, რომ 17 მაისი „ოჯახის სიწმინდის დაცვის“ და უქმე დღედ გამოცხადდა.

**- „მამული, ენა, სარწმუნოება“ ამ სამი საუნჯიდან მამულსა და ენაზე, მეტწილად, ისაუბრეთ, სარწმუნოებაზე ჯერ არ გითქვამთ.**

- 7 წელი და 7 თვე მოანდომეს მარეთელებმა სოლომონ ფუტკარაძის ინიციატივით დაწყებული ტაძრის მშენებლობას. 2005 წლის მაისის გიორგობაზე, ამ ტაძრის საძირკველში დუღაბის ჩასხმის პროცესში მამაც მონაწილეობდა. მრწამსისადმი ერთგულებისა და მამის პატივისცემის ნიშნად, ნოემბრის გიორგობაზე, ოჯახის წევრებთან ერთად, მოსალოცად გამონათლევში მივდივარ.

**- ამ ეტაპზე ამომრჩეველი რა მოთხოვნებს გიყენებთ?**

- სასიხარულოა, რომ ამომრჩეველმა გაითავისა თავისი უფლებები და მოვალეობები. ერთი ფაქტიც არ მახსენდება, რომ დაყვედრებით ეთქვათ: ხმა მოგეცით და დახმარებას ვითხოვთო. ვიყოთ ობიექტურები, სოფლებში კიდევ გვყავს ოჯახები, რომლებსაც ნორმალური ცხოვრების პირობები არ აქვთ. ისინი ისეთი მორიდებულები არიან, რომ დახმარების სათხოვნელადაც ვერ მოდიან. მინდა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებთან ერთად დავაზუსტო ასეთი ოჯახების სია, რომ სისტემატური ყურადღების ქვეშ გვყავდეს. მათი დახმარება ყველას მოვალეობად უნდა იქცეს. მომდევნო 4 წელი საქართველოს ისტორიაში ახალი გამოწვევების წლები იქნება. ჩემი და ყველას ვალია აღმშენებლობით პროცესებში მივიღოთ მონაწილეობა.

# ვიქტორია გაბისონია – ცოდნას ჩემი ქვეყნის განვითარებისთვის გამოვიყენებ

ხატია იაშვილი 555 18 48 88

*ჩვენს მკითხველს გავაცნობთ ბათუმელ სტუდენტ* ***ვიქტორია გაბისონიას****, რომელმაც საჯარო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ჩაბარა ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე და დღეს გაცვლითი პროგრამით სამხრეთ-აღმოსავლეთ ნორვეგიის უნივერსიტეტში სწავლობს. იგი გეგმებზე, მიზნებსა და განვლილ გზაზე გვესაუბრება*

**- ვიქტორია, უპირველესად, გაეცანით ჩვენს მკითხველს.**

- დავიბადე რუსეთში, შემდეგ ოჯახთან ერთად საქართველოში, ბათუმში გადმოვედი საცხოვრებლად. მიუხედავად იმისა, რომ ქართული კარგად არ ვიცოდი, ბათუმის მე-4 საჯარო სკოლა ოქროს მედლით დავასრულე. გრანტით ჩავირიცხე ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, სადაც სტიპენდიატიც ვარ.

**- რატომ გადაწყვიტეთ სწავლა საზღვაო აკადემიაში?**

- ვფიქრობ, აკადემია მომცემს მეტ ცოდნასა და უნარებს, რაც დამეხმარება საზღვაო ინდუსტრიაში წარმატების მიღწევაში ბიზნესადმინისტრირების მიმართულებით.

**- როგორც ვიცი, გაცვლითი პროგრამით სწავლობთ ნორვეგიაში.**

- დიახ, მიმდინარე სემესტრში, Erasmus+ გაცვლითი პროგრამით, ნორვეგიის სამხრეთ-აღმოსავლეთ უნივერსიტეტში ვსწავლობთ

მე, ანა ჩავლეიშვილი საზღვაო აკადემიიდან და ნიტა არეშიძე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რომელიც ნორვეგიაში გავიცანი.

**- რა გზა გაიარეთ იმისთვის, რომ სწავლა საზღვარგარეთ გაგეგრძელებინათ?**

- აღნიშნული Erasmus+-ის გაცვლითი პროგრამის კონკურსის შესახებ პოსტი 31 იანვარს „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. მასში მოცემული იყო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა აუცილებელი დოკუმენტები უნდა მოემზადებინათ კანდიდატებს. პროგრამაში მონაწილეობის მსურველებს ჩაგვიტარდა ინგლისურენოვანი ინტერვიუ ენის ცოდნის შესამოწმებლად. ნორვეგიის უნივერსიტეტიდან დასტური ერთ თვეში მივიღეთ და სწორედ აქედან იწყება ყველაზე რთული ნაწილი - სტუდენტური ვიზის მიღება. ამ პროცესის განმავლობაში მე და ანას ბევრი კითხვა გაგვიჩნდა, თუმცა ამ ეტაპების გადალახვაში დაგვეხმარა აკადემიის საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის წევრი ანა მახარაძე. მადლობა მინდა გადავუხადო ასევე ამ პროგრამაში ნამყოფ სტუდენტებს - მარინა ყალიჩავასა და ნათია ჩხაიძეს, რომლებმაც ეს პროგრამა გაიარეს და გამოცდილება გაგვიზიარეს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, რომ მომავალი სტუდენტებისთვის Facebook-ზე შემექმნა ჯგუფი ამ გაცვლითი პროგრამის შესახებ. აქ „ვპოსტავთ“ ჩვენს გამოცდილებასა და რჩევებს, ვსაუბრობთ გზაზე, რომელიც გავიარეთ ნორვეგიაში მოსახვედრად.

**- რატომ ნორვეგია?**

- პირველ რიგში, ნორვეგია უსაფრთხო ქვეყანაა. აქ ბიზნესი მკვეთრად ხაზს უსვამს გარემოს დაცვის და მდგრადი პრაქტიკის დანერგვის მნიშვნელობას. ქვეყანა ისწრაფვის, იყოს ეკოლოგიურად სუფთა და მდგრადი განვითარების ლიდერი, ქმნის უნიკალურ გარემოს ბიზნესისთვის. ასეთ პირობებში სტუდენტი სწავლობს თანამედროვე ბიზნესპრაქტიკებსა და ტექნოლოგიებს, რომელიც მიმართულია გარემოს დაცვისა და რესურსების ეფექტური მართვისკენ. ნორვეგიაში სწავლა მომცემს შესაძლებლობას, უფრო ახლოს გავიცნო ინოვაციური მიდგომები, მწვანე ტექნოლოგიები და მდგრადი მარკეტინგული სტრატეგიები, რაც მნიშვნელოვანია დღევანდელ ბიზნესგარემოში.

**- რა სხვაობაა ქართულსა და ნორვეგიულ საგანმანათლებლო სისტემებს შორის?**

- პირველად, როდესაც უნივერსიტეტში ლექცია ჩაგვიტარდა, თვალში მომხვდა აუდიტორიების აღჭურვილობა ყველანაირი თანამედროვე ტექნიკით, რაც სწავლის პროცესს სწრაფსა და მეტად ეფექტურს ხდის. ასევე, უნივერსიტეტს აქვს დიდი ბიბლიოთეკა და ჯგუფური მუშაობისთვის გამოყოფილი 20-მდე აუდიტორია, რომელიც დილის 8-დან საღამოს 11 საათამდეა ხელმისაწვდომი. შუალედური გამოცდების ნაცვლად, ყოველი სასწავლო კურსის ფარგლებში, გვაქვს ჯგუფური სამუშაო/პროექტი, სადაც თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში ვიყენებთ. მაგალითად, ერთ-ერთ სასწავლო კურსზე ვიკვლევთ კონკრეტულ კომპანიას, ვავლენთ პრობლემებს და ვთავაზობთ გადაჭრის სხვადასხვა ხერხს, რაც კომპანიას მომავალში დაეხმარება. აკადემიაშიც ყოველ საგანში ვაკეთებთ საბოლოო პრეზენტაციას სასწავლო თეორიაზე დაფუძნებით, თუმცა მსგავსი სახის დავალება არ გვქონია. ამიტომ, ეს ერთგვარი რთული გამოწვევა იყო ჩვენთვის. ამჟამად, პროექტების

იხ. მე-9 გვ.

# „ჩვენ ამ ქვეყანაში უნდა შევქმნათ სამართლიანი თამაშის წესები...“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***საქართველო თავისი განვითარების ახალ ფაზაში შედის - არჩევნებმა, რომელიც ოქტომბერში გაიმართა, ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა მთელი პოლიტიკური სპექტრი, საზოგადოება. ურთიერთდაპირისპირებისა და პოლარიზაციის პროცესი არაერთგვაროვან კითხვებს ბადებს, კრიზისული სიტუაცია განმუხტვას ითხოვს. მთავარია საზოგადოების დაკვეთა - სამართლიანობა და დემოკრატია***

*როგორ შეუდგებიან საქართველოს პოლიტიკური პარტიები ამ გზას? როგორ აფასებენ ისინი პოლიტიკურ პროცესებს და რაში ხედავენ განვითარების პერსპექტივას? - ამ კითხვებზე „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის ერთი-ერთი ლიდერი* ***ვაჟა დარჩია*** *გვპასუხობს.*

**- ვიდრე უშუალოდ არჩევნებზე ვისაუბრებდეთ, მანამდე ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე რას გვეტყვით?**

- მიტაცებული არჩევნების შემდეგ ქვეყანა ძალიან მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა, პრაქტიკულად, „ქართულმა ოცნებამ“ საქართველო იზოლაციის გზაზე დააყენა. სამწუხაროდ, ამის მოლოდინი არსებობდა, ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია. პოლიტიკური სპექტრი ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს კრიზისი რაც შეიძლება მალე დასრულდეს და გავაგრძელოთ სვლა ევროკავშირისკენ. სამწუხაროდ, ამ ხელისუფლების პირობებში ეს შეუძლებელია, ამიტომ ჩვენი მოთხოვნაა ახალი, სამართლიანი არჩევნები, რომლითაც სამართლიან გარემოში ცხოვრებას შევძლებთ.

**- რა ცხადყო ამ არჩევნებმა?**

- არჩევნებმა ცხადყო, რომ ხელისუფლება აკეთებს ყველაფერს ძალაუფლების შესანარჩუნებლად, მისთვის არც არანაირი პრიორიტეტი არსებობს, არც დემოკრატიული გარემო, არც ევროატლანტიკური სივრცე, მისი მიზანია, რუსეთს დაუმტკიცოს ერთგულება და ძალაუფლება ნებისმიერი ხერხით შეინარჩუნოს. გასაჯაროვდა ფაქტები, მათ შორის სასამართლო სისტემაში, სადაც მოსამართლეები აღნიშნავენ, რომ ეს იყო რეალურად ფარულობის პრინციპის დარღვევით ჩატარებული არჩევნები. შესაბამისად, ერთადერთი, რაც ცხადყო ამ არჩევნებმა, არის ის, რომ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს ძალაუფლების შესანარჩუნებლად.

**- მმართველი პარტია აცხადებს, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა და ოპოზიციის მიზანია ქვეყნის დესტაბილიზაცია...**

- დღეს არ არსებობს არცერთი დემოკრატიული ქვეყანა, რომელიც მმართველ გუნდს არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს. „ქართულ ოცნებას“ გამარჯვებას ულოცავენ სახელმწიფოები, რომლებიც არ აღიარებენ საქართველოს სუვერენიტეტს, ეს მეტყველებს ერთ რამეზე - არჩევნებიდან 14 დღის შემდეგ მმართველმა პარტიამ საზოგადოებას ვერც შინ და ვერც საგარეო დონეზე ვერ დაუმტკიცა, რომ ეს არჩევნები თავისუფალ გარემოში ჩაატარა, ხოლო ოპოზიცია, სამოქალაქო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება ყოველდღიურად აჩვენებს საერთაშორისო საზოგადოებას, რომ იყო დარღვევები და ძალაუფლების მიტაცების მცდელობა.

**- ამას წინათ ოპოზიციის წარმომადგენლები შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტს სამოქმედო სტრატეგიასთან დაკავშირებით. გვიამბეთ ამის შესახებ.**

- ჩვენთვის მთავარია, მაქსიმალური დისკომფორტი შევუქმნათ „ქართულ ოცნებას“. პრეზიდენტთან ძალიან მჭიდრო კომუნიკაცია გვაქვს. იგი ქართველი ხალხის გვერდითაა წინააღმდეგობის გაწევის ბერკეტებით, რაც მას აქვს, ანუ შემაჯამებელ ოქმს და პარლამენტის უფლებამოსილებას არ ცნობს. ასევე, მთავარია უბნებზე დარღვევების ყოველდღიურად გამომჟღავნება, დავწერეთ ათასამდე საჩივარი (იგი ყველა ოლქში დაიწერა) და ამის სააშკარაოზე გამოტანა ჩვენი მთავარი ამოცანაა, ანუ საზოგადოებას კიდევ ერთხელ უნდა ვაჩვენოთ გაყალბების მექანიზმი.

**- მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებმა ოლქებში შემაჯამებელ ოქმებს ხელი მოაწერეს...**

- აქ საუბარი არ არის მთვლელზე, აქ საუბარია სხვა რამეზე - ეჭვი გვაქვს, რომ სიებში იყო პრობლემა და ამას ჩვენი წარმომადგენლები ადგილზე ფიზიკურად ვერ გააკონტროლებდნენ. ასევე, მთავარ პრობლემად მიგვაჩნია ისიც, რომ ადამიანები მარკირების გარეშე შედიოდნენ უბნებზე. მოკლედ, სხვადასხვაგვარი დარღვევები ხდებოდა ამ არჩევნებზე, რისი იდენტიფიცირებაც დამკვირვებელსა თუ კომისიის წევრს არ შეეძლო. გარდა ამისა, მმართველმა პარტიამ ყველაფერი გააკეთა, რომ კომისიის წევრებს თავიანთი მოვალეობები ვერ შეესრულებინათ, კერძოდ, გაძევეს ჩვენი წარმომადგენლები საარჩევნო უბნებიდან - ისე იყო ერთმანეთს მიბჯენილი მაგიდები, რომ კონტროლი ვერ განეხორციელებინათ. არგუმენტად არ გამოდგება, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ამ ოქმებს, ხელი იმიტომ მოვაწერეთ, რომ ბალანსი დაჯდა, სხვა ახსნა ამას არ აქვს.

**- ოთხმა ოპოზიციურმა პლატფორმამ უარი განაცხადა პარლამენტში შესვლაზე. რამდენად ერთიანია ოპოზიცია ამ მხრივ?**

- მე მგონი, ოპოზიცია ასეთი ერთიანი არასდროს ყოფილა. დღეს არ არსებობს კითხვის ნიშანი იმასთან დაკავშირებით, ვინმე შევა თუ არა პარლამენტში, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციური სპექტრი განსხვავებული სუბიექტებისგან შედგება. ახლა მთავარია, მმართველ პარტიას მაქსიმალური დისკომფორტი შევუქმნათ, საერთაშორისო პარტნიორებს ვაჩვენოთ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები მიიტაცა და ამის შემდეგ ვილაპარაკოთ სხვა პარტიების პოლიტიკურ იდენტობაზე, ამას ახლა ერთი იდენტობა აქვს - ქვეყნისთვის ბრძოლა, მისი გადარჩენა და ევროპულ გზაზე დაყენება, დასავლეთი არის თითოეული ამ ოპოზიციური კოალიციის იდენტობა.

**- ექსპერტთა გარკვეულ ნაწილს ეჭვი ეპარება ოპოზიციური პარტიების ერთიანობაში პარლამენტში არშესვლასთან დაკავშირებით. თუ ამ ოთხი ოპოზიციური პლატფორმიდან რომელიმე პარლამენტში შევიდა, რას იზამს „ლელო საქართველოსთვის“?**

- ჩვენ ვთქვით, რომ პარლამენტში არ შევდივართ და ამ პარლამენტს ლეგიტიმაციას ვერ მივანიჭებთ. სამომავლოდ რა იქნება, ახლა ამაზე საუბარი ჩვენი მხრიდან არ იქნება მართებული. ამ ეტაპზე არის ეს მოცემულობა, სხვა პარტიების ნაბიჯებზე პასუხისმგებლობას ვერ ავიღებთ. ჩვენ ვამბობთ, რომ არ ვაპირებთ გავუთეთროთ მმართველ პარტიას შავი წესებით ჩატარებული არჩევნები.

**- ექსპერტები ამბობენ, რომ თუ ევროპა და აშშ არ აღიარებენ საქართველოს არჩევნების ლეგიტიმურობას, ქვეყანა იზოლაციაში აღმოჩნდება...**

- სამწუხაროდ, რუსული კანონის მიღების შემდეგ საქართველო იზოლაციაში სხვადასხვა ფორმით უკვე მოექცა, ესაა დახმარებების პაკეტების შეჩერება თუ სხვა... საუბარია იმაზეც, რომ შეიძლება შეჩერდეს ვიზალიბერალიზაცია, რაც ერთ-ერთი მთავარი ხაზია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის, დასაყრდენია მისი ეკონომიკისთვის... რა თქმა უნდა, დასავლეთისგან არჩევნების ლეგიტიმურობის აუღიარებლობა გავლენას მოახდენს, მმართველ ძალას მართლაც მოუწევს იზოლაციაში ყოფნა, რაც საქართველოსთვის სავალალო იქნება. იმედს ვიტოვებ, რომ მმართველი პარტია ვერ დარჩება ხელისუფლებაში იმ ფორმით, როგორც მას უნდა.

**- როგორც ვხედავთ, საქართველოს პრეზიდენტი მკვეთრად დაუპირისპირდა ხელისუფლებას. თავის მხრივ მმართველი პარტია მას ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში ადანაშაულებს...**

- მმართველი პარტია აშკარად ანტიდასავლურ გზას დაადგა. როგორც იცით, ადრე აქებდა საქართველოს ყოფილ პრეზიდენტსაც და ამჟამინდელსაც (მარგველაშვილი, ზურაბიშვილი), ახლა - აგინებს. ეს არცაა გასაკვირი, ახლა ისინი ტრამპსაც გულშემატკივრობენ. ესეც სიმბოლურია... ამ ეტაპზე საქართველოს პრეზიდენტი ერთადერთი ინსტიტუტია ქვეყანაში, რომელიც სწორად მუშაობს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, პრეზიდენტმა გააგრძელოს ეს ხაზი მიუხედავად იმისა, რას ფიქრობს მმართველი პარტია. „ქართული ოცნება“ ყველა ინსტიტუტს იტაცებს, მათ შორის სასამართლოსაც, სადაც საპელაციო საქმეები გვრიტიშვილსა და მურუსიძეს მიჰყავთ, ესენი „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის სახეები იყვნენ და ამ ხალხის გადაწყვეტილებით ცდილობს მმართველი გუნდი „გააპრავოს“ ეს არჩევნები.

**- „ნაცმოძრაობა“ ახსენეთ, მმართველი პარტია აცხადებს, რომ უნდა აიკრძალოს ეს პარტია და მასთან აფილირებული პარტიებიც...**

- არანაირი საკონსტიტუციო უმრავლესობა არ სჭირდება მმართველ გუნდს, რომ აკრძალოს „ნაცმოძრაობა“, სხვა პარტიები. ამ ქვეყანაში რვაასი ათასმა ადამიანმა ოპოზიციას დაუჭირა მხარი. დაიჭიროს ეს ხალხი და უთხრას: - თქვენ იმიტომ არ უნდა იარსებოთ, რომ „ნაცმოძრაობის“ და სხვა ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერები ხართ. ამის სურვილი აქვთ, მაგრამ სამართლებრივად შეუძლებელია. დიქტატურაში კი ცდილობს „ქართული ოცნება“ გადასვლას, მაგრამ ამ ქვეყანაში ამას ვერ გააკეთებს.

**- ოთხმა ოპოზიციურმა პლატფორმამ განაცხადა, რომ შეიმუშავა გეგმა არჩევნების ხელახლა ჩატარების შესახებ. როგორია ეს გეგმა?**

- ჩვენ მხოლოდ სამართლებრივი გზით ვაპირებთ წასვლას, ეს არ გულისხმობს პარლამენტში შესვლას, თუმცა ყოველდღიური დისკომფორტი ექნება მმართველ პარტიას. ვხედავთ, რა პროცესები მიმდინარეობს ქვეყანაში, სხვადასხვა ლოკაციაზე აქციებია ჩანიშნული, რაშიც პოლიტიკური ლიდერები არიან ჩართული. მთავარი ისაა, რომ ვაგრძელებთ დოკუმენტებზე მუშაობას არჩევნების გაყალბების დასადასტურებლად, პარალელურად ვმუშაობთ დასავლელ პარტნიორებთანაც.

**- მმართველი გუნდი ამბობს, რომ ოპოზიცია დაინტერესებულია საქართველოსთვის ვიზალიბრალიზაციის შეჩერებით...**

- წარმოუდგენელია, რომ ოპოზიცია ვიზალიბერალიზაციის გაუქმებით იყოს დაინტერესებული. ოპოზიციაში მყოფ ადამიანებს დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ამ პროცესში, მათ შორის ჩვენს გუნდშიც. ეს არის საერთო მონაპოვარი, ამაზე დგას ჩვენი ეკონომიკა. ემიგრანტების ხარჯზეა ამ ქვეყნის ეკონომიკა. ამ პროცესის ჩახშობა „ქართული ოცნების“ მხრიდან იქნება დანაშაული თავიანთი მომხრეების წინაშეც. ჩვენ არ ვიქნებით ამის მომხრე იმიტომ, რომ ეს იქნება ძალიან ცუდი და რთულად გამოსასწორებელი პროცესი.

**- საგარეო საკითხსაც შევეხოთ: დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევით რა იცვლება მსოფლიოში?**

- უდავოა, რომ დონალდ ტრამპის არჩევით მსოფლიო პოლიტიკაში ახალი ერა იწყება. სხვათა შორის, სწორედ „რესპუბლიკური პარტიის“ ინიციატივით შეიქმნა „მეგობარი აქტი“, რომელიც საქართველოს ეხებოდა, შესაბამისად, საქართველოსთვის იცვლება ის, რომ ამ პროცესში ჩართული ადამიანები, ვინც იცის, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში, მოვიდნენ ამერიკის ხელისუფლებაში. დონალდ ტრამპმა კარგად იცის, რა ხდება საქართველოში, შესაბამისად, ტყუილად ჰგონია „ქართულ ოცნებას“, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაცია „გააპრავებს“ გაყალბებულ არჩევნებს, ეს ასე არ იქნება. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოვიდა ახალი ხელისუფლება, რომელმაც იცის, რა ხდება გლობალურ პოლიტიკაში, იცის, როგორი საჭირო პარტნიორია საქართველო და აშშ არ აპირებს, დაუთმოს საქართველო რუსეთს. „რესპუბლიკელები“ ამას ყოველდღიურად აცხადებენ. რაც შეეხება საერთაშორისო მიმართულებას, რა თქმა უნდა, „დემოკრატებთან“ შედარებით ტრამპი იზოლაციონისტური პოლიტიკით გამოირჩევა, მისი განცხადებები ემიგრანტებთან დაკავშირებით არ არის მისაღები დემოკრატიული საზოგადოებისთვის, თუმცა აშშ იმდენად ინსტიტუციური სახელმწიფოა, რომ ამგვარი განცხადებების ხორცშესხმის საშუალება ტრამპს არ ექნება, ანუ მხოლოდ პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე არ არის დამოკიდებული მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა.

**- დაბოლოს, რას ელოდებით ამ ერთი წლის განმავლობაში პოლიტიკური სპექტრისგან საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?**

- ჩვენ ამ ქვეყანაში უნდა შევქმნათ სამართლიანი თამაშის წესები, ასევე, უნდა ჩატარდეს ახალი არჩევნები, რომელიც არ უნდა გაიმართოს მმართველი პარტიის მიერ დაკომპლექტებული ცესკოს ორგანიზებით - სამართლიანმა ცესკომ უნდა ჩაატაროს ეს არჩევნები. ეს ჩვენი მოთხოვნა ამ ერთი წლის განმავლობაში არის გასაკეთებელი. გარდა ამისა, ერთ წელიწადში თვითმმართველობის არჩევნებიც მოდის, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ვნახეთ, რომ თითქმის ყველა დიდ ქალაქში მმართველმა პარტიამ წაადგა, თბილისში - განსაკუთრებით. შესაბამისად, ამ მუხტს სჭირდება გაძლიერება, ამ მიმართებით უნდა ვიმუშაოთ. იმედია, მალე გაიმართება ახალი საპარლამენტო არჩევნები და შეიცვლება ხელისუფლება. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, იმედია, საკმაოდ მკვეთრი იქნება აშშ-ის პოზიცია რუსეთის მიმართ. მთავარი საკითხი ახლა არის რუსეთ-უკრაინის ომი, ამ მხრივ ყოველთვის სწორი პოზიცია ჰქონდა აშშ-ის ძველ ადმინისტრაციას და ვიმედოვნებ, ამ ხაზს შეინარჩუნებს ტრამპის ადმინისტრაცია. უმნიშვნელოვანესია, რომ უახლოეს ვადებში ომი შეწყდეს და გაიმარჯვოს უკრაინამ. რა თქმა უნდა, ამ ომში გამარჯვების შემოქმედი უნდა იყოს დასავლური ცივილიზებული სამყარო და არა ბოროტება რუსეთის სახით.

> ***„ჩვენთვის მთავარია, მაქსიმალური დისკომფორტი შევუქმნათ „ქართულ ოცნებას“. პრეზიდენტთან ძალიან მჭიდრო კომუნიკაცია გვაქვს. იგი ქართველი ხალხის გვერდითაა წინააღმდეგობის გაწევის ბერკეტებით, რაც მას აქვს, ანუ შემაჯამებელ ოქმს და პარლამენტის უფლებამოსილებას არ ცნობს***

> ***„დონალდ ტრამპმა კარგად იცის, რა ხდება საქართველოში, შესაბამისად, ტყუილად ჰგონია „ქართულ ოცნებას“, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაცია „გააპრავებს“ გაყალბებულ არჩევნებს, ეს ასე არ იქნება. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოვიდა ახალი ხელისუფლება, რომელმაც იცის, რა ხდება გლობალურ პოლიტიკაში, იცის, როგორი საჭირო პარტნიორია საქართველო და აშშ არ აპირებს, დაუთმოს საქართველო რუსეთს***

# ვის გაუწია რეკომენდაცია ოთარ თაქთაქიშვილმა კონსერვატორიაში ჩასაბარებლად?

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***საგუნდო მუსიკას აჭარაში არაერთი პროფესიონალი ემსახურება და თითოეულის შრომაა დასაფასებელი. ერთ-ერთია ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელის მთავარი ქორმაისტერი ქეთევან მანელიშვილი***

ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში დაამთავრა საშუალო სკოლა, 1979 წელს ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე ჩაირიცხა, პარალელურად, ბობოყვათის საშუალო სკოლასთან არსებულ სამუსიკო სტუდიაში მუშაობდა პედაგოგად, ასევე ქობულეთის მე-2 სამუსიკო სკოლაში - საგუნდო კლასის პედაგოგად, ამავე გუნდის ხელმძღვანელად. ერთ დღეს, როცა გუნდს დიდმა კომპოზიტორმა ოთარ თაქთაქიშვილმა მოუსმინა, ძალიან მოეწონა და ქეთევან მანელიშვილს ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის კონსერვატორიაში ჩასაბარებლად რეკომენდაცია გაუწია. 1996 წელს ჩაირიცხა კიდეც საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე, პროფესორ ანზორ კავსაძის კლასში, რომელიც წარმატებით დაამთავრა და იმავე წელს ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში, საგუნდო განყოფილებაზე, პედაგოგად და ქორმაისტერად დაიწყო მუშაობა, სადაც დღემდეა.

აღნიშნული გუნდი აქტიურად მონაწილეობს ბათუმში გამართულ მნიშვნელოვან ღონისძიებებში. ამჟამად ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ხელოვნების ფაკულტეტზეც აგრძელებს საქმიანობას. მისი აღზრდილი სტუდენტები - ლელა დოლიძე, ნათია ცენტერაძე, ნინო ფაღავა, ლელა ვაშაყმაძე, რუსუდან გორგილაძე და სხვები, აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან როგორც ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში, ასევე, ქალაქის სხვადასხვა ორგანიზაციაში.

ქალბატონი ქეთევანი ხუთი წელი ბავშვთა სახელმწიფო ფოლკლორული ანსამბლის მოსამზადებელ ჯგუფში ქორმაისტერი იყო და გვერდით ედგა ცნობილ მომღერალსა და ლოტბარ რამინ მიქაბერიძეს, რომელიც მაშინ ამ ბავშვთა გუნდის ხელმძღვანელი - მთავარი ლოტბარი გახლდათ. იგი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობით გამოირჩეოდა ახლად შექმნილ ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სადაც დიდი გამოცდილება მიიღო ცნობილ ქორმაისტერ ავთანდილ ჩხენკელისაგან. მასთან უშუალო თანამშრომლობით მომზადდა საოპერო სპექტაკლები: ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, ლაღიძის „ლელა“, ვერდის „აიდა“, „ოტელო“, დოლიძის „ქეთო და კოტე“...

1998 წელს ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საოპერო გუნდის ბაზაზე აჭარის სახელმწიფო კაპელა შეიქმნა (ამჟამად მუსიკალური ცენტრის კაპელა), სადაც ქეთევან მანელიშვილი ქორმაისტერად მუშაობდა, დღეს ის ამ კაპელის მთავარი ქორმაისტერია. ამავე პერიოდში აჭარის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა პრემიერებში. 1997 წელს, ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდი მისი ხელმძღვანელობით, მიწვეული იყო იოსებ კეჭეყმაძის საგუნდო ნაწარმოების შესასრულებლად (აკაპელა) ბათუმის დრამატულ თეატრში რობაქიძის სპექტაკლში „ლამარა“. ამ სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად ანკარაში (თურქეთში) გასტროლის დროს.

2006-2008 წლებში ქეთევან მანელიშვილმა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ასისტენტ-სტაჟიორის ორწლიანი კურსი გაიარა აკადემიური გუნდის დირიჟორის სპეციალობით. 2005 წელს მისი უშუალო ხელმძღვანელობით, კაპელა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობდა - შესრულდა საქართველოსა და ამერიკის სახელმწიფო ჰიმნები.

2011 წლიდან კაპელა ყოველწლიურად მონაწილეობს თბილისის საერთაშორისო საგუნდო მუსიკის ფესტივალში, სადაც არაერთი ჯილდო მიიღო. პროფესიონალების შეფასებით, დღეს ბათუმის სახელმწიფო ცენტრის კაპელა საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ქეთევან მანელიშვილს.

კაპელა მიწვეული იყო მიუზიკლში „ქეთო და კოტე“ (დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ მიხედვით, საორკესტრო ვერსიის ავტორი და დამდგმელი დირიჟორი - ნიკოლოზ რაჭველი) 2011 წელს, როდესაც მას ქეთევან მანელიშვილი ხელმძღვანელობდა,

კაპელა მისი უშუალო ხელმძღვანელობით მონაწილეობდა იორდანიის ქალაქ ამანის პირველ საერთაშორისო საოპერო ფესტივალში, სადაც ვერდის „ტრავიატა“ იყო წარმოდგენილი. იქ განსაკუთრებით აღინიშნა გუნდის მაღალი პროფესიონალიზმი.

ქეთევან მანელიშვილს შემოქმედებითი მოღვაწეობის გზაზე არაერთი ჯილდო აქვს მიღებული, მათ შორისაა ბათუმის მუნიციპალიტეტისგან „საპატიო ბათუმელისა“ და ქობულეთის მუნიციპალიტეტში „ამაგდარის“ წოდებები.

ამ რამდენიმე ხნის წინ ქეთევან მანელიშვილს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს საღამოზე „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“, სადაც კიდევ ერთხელ გაიხსენეს მის მიერ ნაყოფიერად განვლილი გზა.

- ქეთევან მანელიშვილი არაჩვეულებრივი ქალბატონია, პროფესიონალი... დღეს დარბაზში ცოტა სხვა ტემპერატურაა და მას სიყვარულის ტემპერატურა ჰქვია. ქეთის ემოცია, ენერგია განუზომელია... თუკი ვინმეს სიყვარულის ახსნა ეკუთვნის, ის ამას ნამდვილად იმსახურებს, - აღნიშნა პოეტმა ბელა ქებურიამ.

- ძალიან კარგ კოლექტივში, შესანიშნავ ადამიანებთან მოვედი სამუშაოდ და ერთ-ერთი მათგანია ქეთევან მანელიშვილი, - თქვა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის დირექტორმა ინგა დავითაძემ.

- ეს არის ქალბატონი, რომელმაც არა მხოლოდ მუსიკალურ, არამედ, ზოგადად, ქალაქის კულტურის ცხოვრებაში შეიტანა წვლილი თავისი გულწრფელობით, უშუალობით, სილაღით, ენერგიით. მან მოახერხა ეს სილაღე, სიყვარული და თავისუფლება მოეხმარა თავისი ქალაქისათვის, ახალგაზრდებისთვის და ძალიან დიდი დოზით. ჩვენ წლებია, ერთად მოვდივართ და საკმაოდ კარგად ვიცნობ, ამიტომ ვიცი, ის ყველაზე მეტადაა გახარებული და ბედნიერი მაშინ, როცა საქმე მისი აღზრდილების წარმატებას ეხება, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

ამ გულთბილ საღამოზე ყველა გამომსვლელი თავისებურად მოეფერა ქეთევან მანელიშვილის, ზოგი სიტყვით, ზოგი - თავისი შემოქმედებით, რომელთა შორის გახლდნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე, მომღერლები აჩიკო გოგიტიძე, გიორგი ბერიძე, გიორგი ჩხარტიშვილი მომღერალთა ჯგუფთან ერთად, მუსიკოსი ზურაბ ჯეგნარაძე, შვილიშვილები...

გვჯერა, ქეთევან მანელიშვილი კვლავაც ნაყოფიერად იღვაწებს და ჩვენი ქალაქის, კუთხის კულტურულ ცხოვრებაში თავის გამორჩეულ წვლილს შეიტანს.

# ენოტურიზმი საქართველოში – გზავნილი მთელი მსოფლიოსთვის

ხატია იაშვილი 555 18 48 88

***მსოფლიოში ცნობილი 2000 ყურძნის ჯიშიდან 500 ქართულია. საქართველოს ტერიტორიაზე ვაზის ველური ჯიშები დღესაცაა გავრცელებული. გასული საუკუნის 80-იან წლებში ქართული ტყის ვაზი წითელ წიგნში შეიტანეს და მას სახელმწიფო იცავს***

საქართველოში აღნუსხული 500-მდე სახეობის ვაზიდან 430 სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო საკოლექციო ვენახებშია დაცული. ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ეს ამ მეთოდის უნიკალურობაზე მიუთითებს და

გზავნილია მთელი მსოფლიოსთვის, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია.

საქართველოში მეღვინეობა-მევენახეობის ტრადიციები 8000 წლის წინათ იღებს სათავეს. აჭარაში მევენახეობის კერად მიჩნეულია ქედის მუნიციპალიტეტი. ქედაში ყურძნის უნიკალური ჯიშებია გავრცელებული, მათ შორის გამორჩეულია ჩხავერი, რომელიც ვარდისფერყურძნიანი ვაზის ჯიშია, მისგან დამზადებული ღვინო ვარდისფერი ელვარებით, ნაზი, ჰარმონიული ბუკეტით და არომატით გამოირჩევა.

ქედაში ასევე გავრცელებულია თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში ცოლიკაური, რომლისგანაც მზადდება სუფრის ღვინო ცოლიკაური. მევენახეობის გარდა, ქედა ულამაზესი ბუნებითა და ისტორიული ძეგლების სიმრავლით გამოირჩევა. ღვინის ტური მაღალმთიან აჭარაში საშუალებას გაძლევთ, მოინახულოთ საოჯახო მარნები, დააგემოვნოთ უნიკალური ადგილობრივი ღვინო და უგემრიელესი ტრადიციული კერძები, ასევე, გაეცნობით მაღალმთიანი აჭარის უმშვენიერეს ბუნებას და ისტორიულ ძეგლებს. როგორც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმღვანელმა თინათინ ზოიძემ გვითხრა, რეგიონში ენოტურიზმი სწრაფად

ვითარდება, რაც კიდევ ერთი შემოსავლის წყაროა სოფლად მცხოვრებთათვის.

- ქართული ღვინო და კულინარია ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ტურისტული პროდუქტია, რომლითაც ჩვენი ქვეყანა პოზიციონირებს მსოფლიო ბაზრზე. უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში ქართული ღვინის ტურისტულ პროდუქტად ქცევის პროცესი ძალიან აქტიურად მიმდინარეობს. უკვე შექმნილია სხვადასხვა ღვინის მარნები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია ქედის მუნიციპალიტეტი, სადაც 10-ზე მეტი მარანია და აქტიურად მასპინძლობს როგორც ადგილობრივ, ასევე, უცხოელ ვიზიტიორებს. აქ სთავაზობენ მაღალი ხარისხის ღვინოსა და მომსახურებას. გასტრონომიითა და ღვინის წარმოებით საქართველოს ძალიან ხმამაღალი განაცხადის გაკეთება შეუძლია. გვაქვს იმის საშუალება, რომ მთელ მსოფლიოს შევთავაზოთ გამორჩეული ღვინო წარმოების უნიკალური ტრადიციებით, კულტურით და ქართული სუფრით. ჩვენს რეგიონში ღვინის ტურიზმი უფრო და უფრო ვითარდება, იხვეწება. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ კერძო სექტორთან. ამ მიმართულებით ძალიან ბევრი სამუშაო მიმდინარეობს. მუშავდება კონკრეტული სახელმძღვანელოები, გაიდლაინები, ტარდება სომელიების ტრენინგები... ამ შეხვედრებით, რა თქმა უნდა, იხვეწება ღვინის წარმოების და ღვინოების შეფუთვის ტექნოლოგიები. ეს მიმართულია იმისკენ, რომ ჩამოსულ ტურისტებს მაღალი დონის მომსახურება გაეწიოს. სასიხარულოა, რომ ღვინის მარნები ფუნქციონირებს ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში და მათ ყოველწლიურად ემატება სხვა ტურისტული პროდუქტებიც, - გვითხრა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსმა თინათინ ზოიძემ.

იხ. მე-9 გვ.

# გრან პრი – ბათუმელ ახალგაზრდებს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

***მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურს „ლეონარდო და ვინჩის“ გრან პრის მფლობელი ალექსანდრე ჯელია, გიორგი გობაძე და ნიკა აბულაძე - გუნდი ბათუმიდან გახდა. მოსწავლეები კონკურსზე პროექტით „ეკომეგობრული ჭკვიანი თევზის ფერმა“ წარსდგნენ***

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ, რომლის ინიციატივითაც იმართება აღნიშნული კონკურსი, გამარჯვებულები 10 ათასი ლარით დააჯილდოვა. დაჯილდოების ცერემონიაზე, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, სამინისტრომ ახალგაზრდებთან ერთად, ჯილდო ღვაწლმოსილ მეცნიერებსაც გადასცა.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ალექსანდრე წულაძემ გამარჯვებულებს მიულოცა და ქვეყნის განვითარების კუთხით მეცნიერების სფეროს ხელშეწყობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის კონკურსის ფარგლებში, ფინალურ ეტაპზე 19 ინოვაციური პროექტი გადავიდა. კონკურსში მონაწილეობა საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების VII-XII კლასების მოსწავლეებმა მიიღეს.

გაზეთ „აჭარასთან“ გრან პრის მფლობელი გუნდის „სტარფიში“ ერთ-ერთმა წევრმა, ბათუმის მეექვსე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ნიკა აბულაძემ ისაუბრა.

- ძალიან კმაყოფილი და მოტივირებულები ვართ. გამარჯვებაში დარწმუნებული ვიყავით, პროექტში ჩართულ სამივე ადამიანს გვჯეროდა, რომ თავდაუზოგავ შრომას ყოველთვის მოაქვს წარმატება. პროექტის იდეა დაიბადა ბათუმის ტექნოპარკში, სწორედ იქ ვმუშაობდით, ხშირად ღამეებს ვათენებდით. პროექტმა „ეკომეგობრული, ჭკვიანი თევზის ფერმა“ განვითარების დიდი გზა გაიარა, დიდი ძალისხმევა ჩავდეთ მასში და შედეგმაც არ დააყოვნა. პროექტზე მუშაობის დაწყებისას ვესაუბრეთ ნორვეგიელ სპეციალისტს, რომელიც თევზის ფერმებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა, ვისარგებლეთ მისი რჩევა-დარიგებებით. კიდევ ერთხელ მადლობას გადავუხდი ყველა გულშემატკივარს, ჩემს არაჩვეულებრივ მეგობრებს, ერთი მიზნით გაერთიანებულ ადამიანებს, რომლებსაც გამარჯვებამ მოგვცა სტიმული, არ გავჩერდეთ და კიდევ არაერთი წარმატება მოვუტანოთ ჩვენს სკოლას, რეგიონსა თუ ქვეყანას, - გვითხრა ნიკა აბულაძემ.

# ვიქტორია გაბისონია – ცოდნას ჩემი ქვეყნის განვითარებისთვის გამოვიყენებ

მე-6 გვერდიდან

შედეგების მოლოდინში ვართ, ვიცით, რომ ამ ნაშრომს საკმაოდ მკაცრად ამოწმებენ.

**- ხომ არ ფიქრობთ სწავლის დასრულების შემდეგ ნორვეგიაში დაბრუნებას?**

- ვფიქრობ, ნორვეგია ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტია სამუშაოს ასარჩევად. როგორც უკვე აღვნიშნე, ეს ქვეყანა გამოირჩევა უსაფრთხო გარემოთი და ძლიერი ეკონომიკით, რაც მას ძალიან მიმზიდველს ხდის, თუმცა ჩემი მიზანი არ არის ნორვეგიაში მუშაობა, სწავლა - კი. თუ შესაძლებლობა მომეცემა, სიამოვნებით ჩავაბარებ იქ, მაგისტრატურაში, მიღებულ ცოდნას კი ჩემი ქვეყნის განვითარებისთვის გამოვიყენებდი.

**- თქვენს გეგმებზე გვესაუბრეთ.**

- მართალი გითხრათ, ზუსტად არ ვიცი, მომავალი სად წამიყვანს. ერთი წლის წინ, ალბათ, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ნორვეგიაში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ვისწავლიდი, თუმცა ახლა აქ ვარ და ამ შესაძლებლობას მაქსიმალურად ვიყენებ. ჩემი მთავარი გეგმაა, გავაგრძელო სწავლა და მივიღო შესაბამისი განათლება ჩემს პროფესიაში.

# ენოტურიზმი საქართველოში – გზავნილი მთელი მსოფლიოსთვის

მე-8 გვერდიდან

## ღვინის მარშრუტი – აჭარაში

საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ და ულამაზეს კუთხეში, აჭარაში, კერძოდ, ქედის მინიციპალიტეტში, განუმეორებელი ბუნების წიაღში აღმოაჩენთ ვენახებით გარშემორტყმულ, მრავალფუნქციურ, შატოს ტიპის „აჭარული ღვინის სახლს“, სადაც განთავსებულია ღვინის საწარმო, ენოთეკა, მარანი ქვევრებით და ღვინის სადეგუსტაციო დარბაზები. ამავე მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში მდებარეობს „შერვაშიძეების მარანი“ რამდენიმე სასტუმრო ნომრით. აქ შეგიძლიათ დააგემოვნოთ მუხის კასრში დაყენებული სხვადასხვა სახეობის ღვინო: ჩხავერი, ცოლიკაური, ოჯალეში და დირბულა. საოჯახო სასტუმროს ერთდროულად 6 ადამიანის მიღება შეუძლია ღამისთევით. მასპინძელი საკუთარი მეურნეობიდან მიღებული ნატურალური პროდუქტებით დამზადებულ კერძებს შემოგთავაზებთ. სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ აჭარული ტრადიციული კერძების კულინარიულ მასტერკლასში მიიღოთ მონაწილეობა, ექსტრიმის მოყვარულთათვის კი ზიპლაინი არის მოწყობილი.

„აჭარული ღვინის სახლი“ მდებარეობს ხელვაჩაურში, სოფელ აჭარისწყალში. იგი აიგო მე-18 საუკუნეში. ღვინის სახლში არის მარანი და სადეგუსტაციო ოთახი. აქ გთავაზობენ ღვინის სხვადასხვა სახეობას. ესენია: ჩხავერი, ცოლიკაური, რქაწითელისა და ცოლიკაურის ნაზავი.

კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობა (KTW) - საწარმოს ფლობს ქედის მუნიციპალიტეტში. ეს ღვინის მარანი დაკავშირებულია ანთიმოზ ჩხაიძესთან, რომელმაც მე-19 საუკუნის ბოლოს ერთ-ერთი საუკეთესო ღვინის მარანი დააარსა და იქ ჩხავერი დაამზადა. აქ შეხვდებით ღვინის სხვადასხვა სახეობას: ჩხავერი, ცოლიკაური, ციცქა, რქაწითელი, საფერავი, წინანდალი, მანავი, ალაზნის ველი და სხვა.

მახოს მარანი მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოში. თქვენ შეგეძლებათ ღვინოების დაგემოვნება, ასევე ქართული და აჭარული სუფრის ტრადიციების გაცნობა. მარანი გთავაზობთ ღვინის სხვადასხვა სახეობას: ალადასტური, ჩხავერი, ცოლიკაური.

ლადო შავიშვილის საოჯახო მარანში დააგემოვნებთ ღვინოსა და ჭაჭას. სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია ქართული სამზარეულოთი გამასპინძლებაც. მარანში არის ღვინის სხვადასხვა სახეობა: ჩხავერი, ცოლიკაური და ოჯალეში.

ნური სირაბიძის მარანი სოფელ გეგელიძეებშია. ეს არის საოჯახო სახლი, რომლის ტერიტორიაზე გაშენებულია ვენახი და მარანი. აქ შემოგთავაზებენ ცოლიკაურს, ოჯალეშსა და ალადასტურს.

ძმები ავალიანების საოჯახო მარანი სოფელ დანდალოშია, სადაც დააგემოვნებთ ღვინის სხვადასხვა სახეობას - ჩხავერს, ცოლიკაურს, ციცქასა და კრახუნას.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ბევრი ახალი მარანი აშენდა, რესტავრაცია ჩაუტარდა ისტორიულ მარნებს, რომლებიც ქვეყნის საგანძურს წარმოადგენს და ტურისტებისთვის მიმზიდველია. პროექტ „ღვინის გზის“ ფარგლებში მოეწყო ღვინის მარშრუტები. აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულებში საგრძნობლად გაიზარდა ვიზიტიორების რაოდენობა და ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლები.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძიებელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 14/11/24, 19 45 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „გამყოფი ხაზი“ – მოკლემეტრაჟიანი ფილმი ქალთა მიმართ ძალადობაზე

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

***ქალაქ ბათუმში მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „გამყოფი ხაზის“ გადაღებები მიმდინარეობს. ფილმის მთავარი თემა ძალიან აქტუალურია, რადგან ის ქალთა მიმართ ძალადობას ეხება და დღევანდელ საზოგადოებაში არსებულ რეალობას ასახავს***

ფილმის რეჟისორი მევლუდ საბაშვილია, ხოლო მთავარ როლს ჩვენი გაზეთის ჟურნალისტი და მოყვარული მსახიობი მარიამ ხითარიშვილი ასრულებს. ფილმში ასევე მონაწილეობენ მსახიობები: გიორგი არველაძე, ლია აბულაძე, კოკა ხუბუტია, დეა წულუკიძე, დათო დიასამიძე, მიხეილ ღომიძე და თორნიკე ბარამიძე. რაც შეეხება გადამღებ ჯგუფს, მის შემადგენლობაში არიან დავით ახმაევი, ნაიკო ქადიძე და გიორგი ჩიბურდანიძე.

როგორია ქალის ცხოვრება მოძალადე ქმართან და მის გარეშე - ამ ყველაფერს ფილმიდან შეიტყობთ, მანამდე კი მსახიობებსა და რეჟისორს გავესაუბრეთ.

**მევლუდ საბაშვილი:**

- ჩვენ ყველა სცენარის ორ ვარიანტს ვიღებთ, რადგან ერთმანეთთან შედარებული გვაქვს ფილმის მთავარი გმირი ქალის ორი ცხოვრება. სწორედ ამიტომაც ჰქვია ფილმს „გამყოფი ხაზი“. ყოველთვის ძალიან მაინტერესებდა მსგავსი ნარატიული ელემენტები, „პეპლის ეფექტები“ და პარალელური სამყაროები. ეს ფილმიც ასეთია, რადგან მოქმედება ერთმანეთის პარალელურად ვითარდება. რაც შეეხება იმას, თუ რატომ ქალთა მიმართ ძალადობის თემატიკა, ამ შეკითხვაზე პასუხი მარტივია - ყველა კარგად ვხედავთ, დღეს საქართველოში რამდენად აქტუალურია ეს საკითხი. არ ვამბობ, რომ კაცების მიმართ არ ხდება, მაგრამ ქალთა მიმართ ძალადობა უფრო ხშირია და არის შემთხვევები, რომელიც ფატალურადაც მთავრდება. დღეს ქალების ნაწილს სირცხვილად მიაჩნია იმის აღიარება, რომ მათზე ძალადობენ. ამ ფილმის მთავარ პერსონაჟსაც ასე ჰგონია და მალავს.

ჩვენი ფილმის ნახვის შემდეგ, თუ ძალადობის მსხვერპლი ქალები გაბედავენ და ძალადობას დაუპირისპირდებიან, ძალიან გამიხარდება.

**მარიამ ხითარიშვილი:**

- ჩემს პერსონაჟს მოძალადე ქმარი ჰყავს, რომელსაც პათოლოგიური სიმთვრალე აქვს. ეს ქალი მთელი დღე, რუტინულად, სახლის საქმეებშია ჩართული. საბოლოოდ გადაწყვეტს, მეუღლეს თავი დააღწიოს, რეკავს პოლიციაში და იწყებს თავიდან ცხოვრებას. ეს ამ ფილმის ერთი მხარეა. მეორე მხარე მოგვითხრობს ამ პერსონაჟის გაუბედაობაზე, იმაზე, რომ ქალმა სიჩუმე ამჯობინა და დარჩა მოძალადე ქმართან. სწორედ ეს არის რეჟისორის ჩანაფიქრი - აჩვენოს ამ ქალის ორი ცხოვრება. ჩემი პერსონაჟის თამაში საკმაოდ რთულია, რადგან, მისი ცხოვრებიდან გამომდინარე, ძალიან შებოჭილია. ვფიქრობ, ვართმევ თავს, თუმცა ამას ყველაზე კარგად მაყურებელი შეაფასებს. რაც შეეხება მევლუდ საბაშვილს, უკვე მეოთხე პროექტში ვთანამშრომლობთ. მასთან მუშაობა ძალიან კომფორტულია, რადგან თავისი საქმის პროფესიონალია და, ამასთან, ძალიან პასუხისმგებლიანიც. იცის, რისი გაკეთება უნდა და ყოველთვის შედეგზეა ორიენტირებული. დაბოლოს, მინდა მივმართო ძალადობის მსხვერპლ ქალებს, რომ არ დახუჭონ თვალი ძალადობაზე, არ შეშინდნენ, აუცილებლად აიმაღლონ ხმა, მათ წინ ძალიან ბედნიერი ცხოვრება ელოდებათ.

**კოკა ხუბუტია:**

- ჩემი პერსონაჟი წესიერი, კეთილი და უშუალო ადამიანია, რომელსაც მოეწონება ძალადობის მსხვერპლი ქალი. მას სრულიად შემთხვევით ხვდება და შემდეგ ვითარდება მათი ურთიერთობა. რაც შეეხება რეჟისორთან და გადამღებ ჯგუფთან მუშაობას, უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან სასიამოვნოა. მევლუდს სცენარზე კარგად აქვს ნაფიქრი, ამ ფილმში ბევრი საინტერესო მსახიობი ჰყავს დაკავებული და ვფიქრობ, რომ ფილმი ძალიან კარგი გამოვა.

*ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რეჟისორს, მსახიობებსა და გადამღებ ჯგუფს წარმატებები ვუსურვოთ და დაველოდოთ ფილმის პრემიერას.*

# ინკლუზიური თეატრალური დასის მიუზიკლი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***ინკლუზიური სწავლების ცენტრის თეატრალურმა დასმა „ცისარტყელამ“ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში მიუზიკლი „პატარა უფლისწული“ წარმოადგინა. აღსანიშნავია, რომ ინკლუზიური განათლების სისტემაში მიუზიკლი აჭარაში პირველად დაიდგა***

სპექტაკლში ინკლუზიურ დასთან ერთად, მოწვეული მსახიობები ქეთევან ეგუტიძე და გიორგი არველაძე, ქორეოგრაფიული სტუდია „ბითი არტის“ მოცეკვავეები (სტუდიის ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი - თამარ ბერიძე), მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის მხატვრული ტანმოვარჯიშეები (მწვრთნელები - ლელა გოგიშვილი, ნინო ზაქარაძე, ელმირა გაზიევა) მონაწილეობენ. რეჟისორია ნიკოლოზ ტუღუში, პროექტის ხელმძღვანელი - მერი ჩიმაკაძე.

თეატრალური დასი „ცისარტყელა“, რომელიც ამჟამად ბათუმის 26-ე საჯარო სკოლაში არსებული ინკლუზიური სწავლების ცენტრის ბაზასთან არსებობს, 2007 წელს დაფუძნდა და პირველივე წელს მაყურებელს სპექტაკლი „რწყილი და ჭიანჭველა“ შესთავაზა, მას მოჰყვა „ფიროსმანი“, „სამი გოჭი“, „ბაბაჯანას ქოშები“, „ანა ფრანკის დღიური“... „პატარა უფლისწული“ მათი მეთერთმეტე სპექტაკლია.

- დღევანდელი დღე იმით იყო განსხვავებული, რომ პირველად ამ დასის არსებობის ისტორიაში, დავდგით მიუზიკლი, რაც ახალი გამოწვევაა. ვფიქრობთ, რომ ჩვენმა შემოქმედებითმა გუნდმა საქმეს კარგად გაართვა თავი და მაყურებელს საშუალება მისცა, ემოგზაურა პატარა უფლისწულის ჯადოსნურ სამყაროში. მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც გვერდით დაგვიდგა და ინკლუზიური დასის წევრებთან ერთად შექმნა ზღაპრული ატმოსფერო. მუსიკა საავტორო უფლებითაა, ანუ სპეციალურად ჩვენი მიუზიკლისთვის შეიქმნა (ტექსტი თავად რეჟისორს ეკუთვნის - მ. ძ.). სპექტაკლის მონაწილეთათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მაყურებლის რეაქცია, ამიტომ აქ მოსულ თითოეულ ადამიანს ვუხდით მადლობას. ამ ბავშვებისთვის მათი ტაში ბევრს ნიშნავს და ჩვენც სტიმულს გვაძლევს, რომ არ გავჩერდეთ. მადლობა მათ, ვინც 2007 წლიდან არის ამ პროცესში ჩართული. ეს მიუზიკლი გამოირჩეოდა იმითაც, რომ მასში ორი პროფესიონალი მსახიობი მოვიწვიეთ. სპექტაკლში ინკლუზიური სწავლების ცენტრის ბავშვები რეზო ყურშუბაძე, ნინი გვიანიძე, ანა დუმბაძე, გიორგი და ლუკა კეჭაყმაძეები მონაწილეობენ. სულ 15 ბავშვია დაკავებული.

- „ბითი არტის“ წევრი ვარ, მიხარია, რომ ასეთ სპექტაკლში ვმონაწილეობ. ძალიან საინტერესო, სასიამოვნო, ამასთან, საპასუხისმგებლოც იყო, - გვითხრა მოცეკვავე თეკლა ცეცხლაძემ.

- ეს იყო მიუზიკლის დადგმის პირველი მცდელობა და ყველა ვდელავდით. შევეცადეთ, ინტეგრირებული გამოსულიყო, ჩავრთეთ მსახიობები, ტანმოვარჯიშეები, მოცეკვავეები და, რა თქმა უნდა, ინკლუზიური ცენტრის ბავშვები. ყველა ნასიამოვნები დარჩა, - გვითხრა ინკლუზიური და ინტეგრირებული სწავლების ცენტრის „თანადგომა“ ხელოვნების პედაგოგმა მანანა მაჩალაძემ.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.